ფასი 40 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 27 ოთხშაბათი, 28 აგვისტო 1918 წ. № 27

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## მიწათ-მოქმედების სამინისტრო

აცხადებს რომ, ხუთშაბათს, 5 სექტემბერს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ., № 22) 10 საათზე დილით დანიშნულია შეჯიბრებითი ვაჭრობა ტყის გაჩეხვაზე და შეშის გამზადებაზე ქუთაისის გუბერნიის შემდეგ ადგილებში: ფარცხნალში, სადგურ მარელისის ახლო—1.000 კუბიკური საჟ.; ვახანში, სადგურ მოლითასა და მარელისის შუა—1.500 კუბ. საჟ.; სადგურ წიფასთან, მოსეშვილის ყოფილი ტყე—1.000 კუბ. საჟ. თბილისის გუბერნიაში: ალაზნის იქით მდებარე დაბლობ ადგილში გავზმში—3.000 კუბ. საჟ.; ვარდისუბანში ქალაქ თელავის ახლოს, კახეთის გზატკეცილზე—2.000 კუბ. საჟ.; ქიზისხევში სადგურ თელავის ახლოს—500 კუბ. საჟ.; ვანათში, ბუშათში და ურიათ უბანი, სადგურ ვაჩნაძიანის ახლოს—500 კუბ. საჟ.; ჩერემის რაიონში სადგურ გურჯაანის ახლოს—200 კუბ. საჟ.; მანავში—300 კუბ. საჟ; და საგარეჯოში—200 კუბ. საჟ;სულ—11.200 კუბ. საჟ. იმავ რიცხვში იქავე დანიშნულია შეჯიბრებითი ვაჭრობა უკვე გამზადებულ შეშის გამოზიდვაზე, ვარდისუბნის, გავაზის, ქიზიხევის, ფშაველის, საგურამოს და პრიუტის ტყეებში. ტყის მოჭრის, შეშის გამზადების და გადატანის პირობებზე შეიძლება ცნობების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ., № 22) 12—3 საათამდე.
2-2

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
## ნ. ვ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა სადამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

50—1 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

## სახალხო განათლების სამინისტროს განცხადება.

თბილისის სამხედრო გიმნაზია (ყოფილი კადეტთა კორპუსი), სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაიკეტა ამა წლის 8 ივლისს და მასთან ერთად გაუქმდა გიმნაზიასთან არსებული პანსიონიც. ამის გამო სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს მშობელთა და აპეკუნების საყურადღებოდ, რათა მათ დროზე მიიღონ ზომები და ყოფილი კორპუსის მოსწავლენი მოათავსონ სხვა სასწავლებელში. მინისტრის განკარგულებით, კორპუსის მოწაფენი მიიღებიან კლასიკურ გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებელში უეგზამენოთ: კლასიკურ გიმნაზიაში—პირველ ოთხ კლასში, ხოლო რეალურ სასწავლებელში ყველა კლასში. მიმდინარე წლის პირველ ენკენისთვიდან ზემოაღნიშნული პანსიონი დაიხურება და ამ დღიდან პანსიონისათვის არავითარი ხარჯი არ გაიცემა.

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

24 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 228.

ინიშნება: ქუთაისის საგუბერნიო მართველობის მრჩეველი ნიკოლოზ კალისტრატის ძე ჩიკვაიძე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მყოფ სხვა და სხვა მინდობილობის მოხელეთ, ჯამაგირით, ამა წლის 20 აგვისტოდან.

დათხოვნილია: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მყოფი სხვა და სხვა მინდობილობის მოხელე, ჯამაგირით, დიმიტრი თომას ძე ხოშტარია, ამა წლის 20 აგვისტოდან, თბილისის საოლქო სასამართლოს წევრად დანიშვნის გამო.

24 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 229.

დათხოვნილია: შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიცე-დირექტორი გრიგოლ აართონის ძე მენდელევი ორი თვით, ჯამაგირის შენახვით.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ნ. რამიშვილი.

გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა»-ს კანტორა ამით აცხადებს, რომ ვინც ენკენისთვის პირველ დღეს სვედრ ფულს არ შემოიტანს გაზეთის გაგზავნა მოესპობა

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

22 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 28.

განთავისუფლებულ იქმნეს თანამდებობიდან: თანახმად მისივე თხოვნისა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საიურისკონსულტო განყოფილების საქმის მწარმოებელი სოლომონ ვასილის ძე ერისთავი ამა წლის 20-ს აგვისტოდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟურული.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყებას.

21 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 39.

გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა,—რათა ყველა წინადადებები და ლიტერები რესპუბლიკის რკინის გზაზედ ხალხის და ნივთების გადასატანად, გარდა სამხედრო მინისტრიდან მიცემულისა, უნდა შემოწმებულ იქმნას სადგურის კომენდანტის, როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენლის მიერ, ურომლისოდაც სადგურის მთავრობა არ მიიღებს გადასაყვანად ხალხს და ნივთებს. ლიტერებით და წინადადებებით სარგებლობისთვის, როდესაც ისინი შემოწმებული იქნებიან კომენდანტის მიერ, საერთო მიღებულ წესით ფულს იხდის სამხედრო უწყება.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მხედრობას.

19 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 57.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შტაბის საინსპექტორო განყოფილების უფროსის თანაშემწე პოდპორუჩიკი თაყაიშვილი დათხოვნილია სამსახურიდან, სათადარიგო ჯარში გადარიცხვით, თანახმად არსებულ კანონებისა, საერთო წესით და ყველასახის ჯამაგირის დაკმაყოფილებით.

ცნობა: მოხსენება პოდპორუჩიკ თაყაიშვილის 9 აგვისტოს თარიღით № 34.

საფუძველი ბრძანება კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარ სარდლის № 421.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალურ შტაბის გენერალ-მ. გედევანიშვილი.

### ბრძანება

სამხედრო სამინისტროს.

21 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 1.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიის ყოფილ უფროსს ბ. ჩიქოვანს წინადადებას ვაძლევ სახაზინო ქონება, საქმეები და ფულის ანგარიში გადასცეს სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსს გენერალურ შტაბის პოლკოვნიკს გედევანიშვილს 21 აგვისტოს. გადაცემის დროს დასასწრებლად ვნიშნავ კომისიას პოლკოვნიკი კილოსანიძის თავმჯდომარეობით, წევრებათ—შტ. კაპიტან გედევანიშვილს, პოდპორუჩიკ გოციროძეს და ბ. ნეიმანს. კომისიას ვავალებ შეადგინოს ჩაბარების აქტი და წარმომიდგინოს მე.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი გედევანიშვილი.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყებას.

26 ივლისი, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 40.

გენერალურ შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი სამხედრო მინისტრის თანაშემწეობის დროებით მოვალეობისაგან განთავისუფლებულია.

სამხედრო მინისტრის თანაშემწედ დროებით ვნიშნავ მხედრობის მომარაგების უფროსს გენერალ-მაიორ ბენაშვილს.

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა 16 ივლისის თარიღით 1918 წ. დროებით ინიშნებიან: გენერალურ შტაბის განყოფილება:

გენერალურ შტაბის უფროსად—გენერალურ შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი.

საოპერაციო სექციის უფროსად—გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ზაქარიაძე.

იმავე სექციის განყოფილების უფროსებათ:

საოპერაციოსი—გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ნაცვალიშვილი.

სამობილიზაციოსი-გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი.

დაზვერვის გენერალურ შტაბის პოდპოლკოვნიკი ძაგანია.

საორგანიზაციო სექციის უფროსად გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

იმავე სექციის კანცელარიის უფროსად პოდპოლკოვნიკი პეტრიაშვილი.

საარტილერიო სექციის უფროსად-გენერალ-ლეიტენანტი ქუთათელაძე.

საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსად—სამხედრო ინჟენერი თაყაიშვილი.

საადმინისტრაციო განყოფილება:

განყოფილების უფროსად—გენ. მაიორი ყიფშიძე.

მის თანაშემწეთ—პოლკოვნოკი ციციანოვი.

საბინაო სექციის უფროსად—სამხედრო ინჟენერი გურამიშვილი.

საერთო განყოფილება:

განყოფილების უფროსად-ჩიქოვანი.

სამხედრო საბეითლო განყოფილება:

განყოფილების უფროსად-კვიტაშვილი.

მის თანაშემწეთ-ფარეიშვილი.

კანცელარიის მმართველად ფარეიშვილი.

სამხედრო მინისტრი: გიორგაძე.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყებას.

16 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 33.

§ 1.

სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსი გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი გედევნიშვილი ინიშნება ამავე სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსად.

§ II

ინიშნება: გენერალ მაიორი ვარდენ წულუკიძე სამხედრო პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ III.

სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი ჩიქოვანი განთავისუფლებულია ზემოთ ნაჩვენებ თანამდებობიდან, ჩემსავე განკარგულებაში დარჩენით და ჯამაგირის შენახვით.

სამხედრო მინისტრი: გიორგაძე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრისა.

№ 12.

ვინაიდან ჩემ მიერ დანიშნული გამოძიება იმ ბრალდებების გამო, რომელიც წამოყენებული იყო ს. ნ. წერეთელის მიერ კანცელარიის უფროსის ი. ა. აფთექარის და მიმწოდებელ განყოფილების უფროსის მ. მ. ტრუნოვის წინაამდეგ, დამთავრებულია, და არავითარი მოქმედება ზემო დასახელებული პირების, რომელსაც შეეძლოს ამ პირების გამტყუნება, არ ხრის აღმოჩენილი, ვუბრძანებ იოსებ აბრამისძე აფთექარს შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას კანცელარიის უფროსის თანამდებობაზე, მიხეილ მიხეილისძე ტრუნოვს — შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას მიმწოდებელი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

სასურსათო საქმის და გზათა მიმოსვლის მინისტრი ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

სამინისტროს მდივანი კ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

26 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 230.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორ გრიგოლ აარონის ძე მენდელევისათვის ორი თვის თავისუფლების მიცემის გამო, ზემოაღნიშნულ კანცელარიის ადგილობრივი მეურნეობის და საანგარიშო განყოფილებების გამგეობა ევალება იმავე კანცელარიის ვიცე-დირექტორს იასონ ვარადებულის ძე აფაქიძეს.

მინისტრის ამხანაგი: კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

სამხედრო უწყებას.

21 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 43.

ვუბრძანებ დივიზიის უფროსებს წინადადება მისცეს რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების უფროსს განუმარტონ ჯარის კაცებს, რომ მთავრობის მიერ მიცემულ ტანისამოსში მათ საკუთრებას შეადგენს მხოლოდ თეთრეულობა. ყველა დანარჩენი — რესპუბლიკის განძია და ამისათვის მხედარი ვალდებულია განსაკუთრებულად გაუფრთხილდეს და შეინახოს რესპუბლიკის ქონება. გაყიდვისათვის, განზრახ წახდენისათვის ან მითვისებისათვის დამნაშავენი სასტიკად იქნებიან დასჯილნი კანონის ძალით. როტის კომანდირებს და ყველა უფროსებს წინადადება ეძლევათ სასტიკათ ადევნონ თვალ ყური, რათა სახელმწიფო ნივთები დაცული იქმნას. დივიზიის უფროსები ვალდებულნი არიან მიიღონ ამის შესახებ ზომები.

სამხედრო მინისტრი: გ ი ო რ გ ა ძ ე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

23 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 29.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ა რ ი ა ნ: ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინსტროს კანცელარიის ვაჭრობისა და სავაჭრო ნავთსადგურების განყოფილების საქმის მწარმოებელი გალაქტიონ აბესალომის-ძე ტყემალაძე, ამავე განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე კონსტანტინე მიხეილისძე კანდელაკი და ამავე კანცელარიის ბუჰგალტერის უფროსი თანაშემწენი ევგენი იოსებისძე კერესელიძე და ბართლომე ექვთიმეს-ძე ბიბინეიშვილი — ყველანი 1918 წ. 15 ივლისიდან.

შ ტ ა ტ ს გ ა რ ე შ ე რ ჩ ე ბ ი ა ნ ს ა ე რ თ ო წ ე ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ: ყოფილ ამიერ კავკასიის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროების ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმების გამო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების საქმის მწარმოებელი ივანე ალექსანდრეს-ძე ლიპინსკი და ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის საბიუჯეტო სახაზინო განყოფალების უფროსის თანაშემწე ვლადიმერ გრიგოლის-ძე გლადკი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

კანცელ. დირექტორი ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი.

---

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სავალდებულო გადაწყვეტილება.

თანახმად განსაკუთრებულ საბჭოს წესდების მე 8 პუნქტისა 10 მუხ. სათბობ მასალით უზრუნველ-საყოფად გზათა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და წარმოებათა, ვნიშნავ შემდეგ გასაყიდ ფასს მინერალურ ზეთზე: საწყობებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა უმეტეს 35 მანეთისა ფუთზე.

დამნაშავენი ამ სავალდებულო გადაწყვეტილების აუსრულებლობაში, ხსენებულ წესდების მე 19 მუხლის ძალით, სასჯელს მოიხდიან ციხეში დამწყვდევით არა უმეტეს სამი თვითა ან ფულად 300 მანეთის გადახდით.

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ფ. და ვ.-მრ. მინისტრის ამხანაგი გ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 28 აგვისტო.

ცოტა მიუდგომლობა და პოლიტიკური გულწრფელობაა საჭირო, რომ ქართველი დემოკრატიის ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ოცდა ექვსი მაისის ისტორიული აქტით ემცნო მსოფლიოს, დაფასდეს როგორც ბრძნული, ერთად ერთი ხელსაყრელი და აუცილებელი გზა იმ სამძიმო პირობათა დასაძლევათ, რომლის გავლენის ქვეშ დარჩენა კატასტროფიული იქნებოდა ქართველი ხალხისათვის.

ვისაც თვალთა ხედვა აქვს და ყურთა სმენა კარგათ, იცის, რომ ქართველი ხალხი გარიყული დარჩა იმ ბრძოლის მოედანზე, რომელიც ბოლშევიკების „სოციალისტურმა“ ლაშქარმა დასცალა.

ოსმალეთს, რომელიც მუდამ ჟამს ჩვენსკენ მოისწრაფოდა, ეხსნებოდა გზა და საშუალება თავისი ისტორიული ლტოლვა იოლად და სწრაფათ განეხორციელებია; მართლაც, ოსმალეთი დაპყრობის ჟინით აღტკინებული საქართველოსკენ დაიძრა და ჩვენი ქვეყანაც განსაცდელში ჩავარდა.

ტრაგედია ქართველი ერის და მისი დემოკრატიისა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩამორჩენილი და ნაკლებ განვითარებული ოსმალეთი თავს ესხმოდა შედარებით უკეთ პერსპექტივის წინაშე მდგომ საქართველოს, რომლის მომავალი ჩაწნული იყო რევოლიუციონური მსვლელობის გამარჯვებით დაგვირგვინებაში. ქართველი ერი ვერ შეურიგდებოდა დაპყრობას, რადგან მას კარგათ ესმოდა, რომ ახალი ბატონის მიღება, ეს ნიშნავდა დაქვეითებას, ახალი ეკონომიური ურთიერთობის დამხობას, დაგროვილი კულტურული ენერგიის მოსპობის და ერის ფიზიკური გადაშენების გზაზე შეყენებას.

ქართველი ხალხი, რომელსაც სწყურდა წინსვლა, განვითარება, უნდა შედგომოდა თავდაცვას, მტრის მოგერიებას, მოსალოდნელი მონობის უღლის ყოველი გზით თავიდან აშორებას. ჩვენი ერის ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა წრეებმა ამ ნიადაგზე დასვეს საკითხი და კიდეც გარკვეული ისტორიული ნაბიჯი გადადგეს: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

მართლაც, ქართველ ხალხს უნდა ეწარმოებია ბრძოლა ოსმალეთთან, სახელმწიფოებრივ ერთეულთან და რასაკვირველია, ქართველი ხალხიც უნდა შემოსილიყო იმ ატრიბუტებით და იარაღით, რომელითაც აღჭურვილი იყვნენ მოწინააღმდეგენი. საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა მიეღო და საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო უნდა დასჯახებოდა იმ სახელმწიფოს, რომელიც მის გასრესას და გადაყლაპვას ლამობდა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება ჩვენს დემოკრატიას აძლევდა იმ ორგანიზაციას, რომელიც აუცილებელი იყო თავდაცვის საქმის წარმოებაში. ეს აქტი ნიშნავდა თავის ძალების ავად თუ კარგად გაწესრიგებას, მოწყობას. ქვეყნის ძალების ორგანიზაცია და მათი მწყობრად მიმართვა იმ უბედურების თავიდან ასაცილებლათ, რომელსაც მას ოსმალეთი და ბოლშევიზმი უმზადებდა, ეს თავდაცვის ინსტიქტის შეგნებულათ ამეტყველება იყო.

ჩვენ დავაფასეთ შექმნილი მდგომარეობა, განვსჭვრიტეთ პერსპექტივები, შეგნებულათ გამოვერკვიეთ და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით საქართველოს დაცვა მოვიწადინეთ. ეს თვითგამორკვევა ოცდა ექვს მაისის აქტით განისაზღვრა. საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოა. ის თვით განაგებს და აწესრიგებს თავის საქმეებს, თავისი ძალებით აწყობს და გუშაგობს თავის თავს, თავის მომავალს.

ქართველი ერის სხვა პოლიტიკურ ორომტრიალში ჩათრევა, მისი მყობადის მის დაუნებურათ შეცვლა, მის პოლიტიკური ორგანიზაციის დაშლა და მის სხეულის სხვაზე მიკერება, ან რაიმე პოლიტიკურ კომბინაციაში ჩაჭერა, ეს იქნება ძალადობა, სულ-ერთია რა „სოუსით“ იქნება ყოველივე ეს შეზავებული.

ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ გვინდა საკუთარი გზით სვლა, საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. და პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო აგიტაცია, პრეზიდენტ ვილსონის სიტყვის გამო, რომლითაც ის ვითომ ჩვენზე მზრუნველობას იჩენს და ჩვენ განადგურებას დასტირის, ჩვენში გულისწყრომას იწვევს, რადგანაც იქ ნათლათ ჩანს ჩვენი ბედის ჩვენვე დაუკითხავათ გადაწყვეტის სურვილი. პ. ტ. სააგენტო გადმოგვცემს: „მხნე და გულადი ქართველი ხალხი განადგურებულია ოსმალო-გერმანიის ჯარებით, პატარა საქართველო დაპყრო ოსმალეთ-გერმანიამ და ის გახდა კარად გერმანიის აზიაში შესასვლელად, საქართველო უნდა დაგვიბრუნდესო“.

მართლია, პატარა საქართველო და სხვა ერებიც დიდათ შეავიწროვა და დაგლიჯა ოსმალეთმა, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით, მაგრამ გერმანია დაგვეხმარა, განადგურება აგვაცდინა და ჩვენ გვინდა და ვცდილობთ ჩვენი მდგომარეობის ჩვენივე ძალებით მოწყობას. საქართველოს პოლიტიკური გეზის შეცვლა, ესა თუ ის ნაბიჯის გადადგმა, შედეგი უნდა იყოს დამოუკიდებელ საქართველოს თავისუფალ დადგენილების და ყველა ის, ვინც შელახავს ჩვენ თავისუფლებას, ქართველი ხალხის მტერი და მოძულე იქნება. ჩვენ გვიყვარს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დემოკრატია და მას მთელის ჩვენი შეგნებით, მთელი ჩვენი არსებით ვიცავთ.

---

## კიდევ ნაციონალიზაციის გამო

ჩვენი რესპუბლიკის მტრები სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაციას იყენებენ იარაღად საქართველოს დამოუკიდებლობის წინაამდეგ.

მაგრამ ჩვენი მტრები, ღრმად დარწმუნებული ვართ, ამ საკითხშიაც ისე მოიტეხენ კისერს, როგორც სხვა მსგავს საკითხებში, რომელიც მათ უნდოდათ გამოეყენებინათ საქართველოს რესპუბლიკის და თავისუფლების შესამუსარავად.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველ სახელმწიფოს თავისი ს ა კ უ თ ა რ ი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი აქვს. შეუძლებელია ერთს დამოუკიდებელ და მართლა სუვერენულ სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს პოლიტიკური სული ტრიალებდეს, სხვა, უცხო სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი მოქმედებდეს.

ჩვენ დღეს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია ისე გვესმის, როგორც ამ დაწესებულებათა დემოკრატიზაცია. ეს სხვანაირათ არც შეიძლება, ჩვენ სახელმწიფურ ორგანიზაციას ვუახლოვებთ ხალხს, მისი უმრავლესობის ყოფაცხოვრებასთან ვაკავშირებთ პოლიტიკურ დაწესებულებებს.

ჩვენ გვინდა მართვა-გამგეობა, საქმის წარმოება, მიწერ-მოწერა ხდებოდეს ხალხის მშობლიურ ენაზე.

წინად ძველი რუსეთის ბიუროკრატიის ბატონობის დროს ყოველივე ეს ხდებოდა ხალხისთვის გაუგებარ ენაზე, რასაც დიდი ვნება მოჰქონდა მთელი ერის და დემოკრატიის ცხოვრებისათვის. ეს იყო უარისყოფა დემოკრატიზმის და დაკანონება რუსფიკატორული ძალადობისა.

დღეს კი ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, ძველი ბატონები უარჰყო და შეუდგა საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების მოწყობას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

დაწესებულებათა ნაციონალიზაცია ბუნებრივად გამომდინარეობს დემოკრატიულ განვითარებიდან. ხალხი, დღემდე უფლება აყრილი და სხვების საკრეჭად მუდამ გამზადებული, დღეს სათავეში უდგება სახელმწიფოებრივ დაწესებულებათ და თავის ინტერესების თანახმად უცვლის მას სახესა და შინაარსს.

თავის თავად ცხადია, აქ დემოკრატიის პირველი სიტყვა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის შესახებ არის დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, რაც უდრის მათ დემოკრატიზაციას.

ეს არ ესმის ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რომელთაც დაწესებულებათა ნაციონალიზაცია ჩვენში შოვინიზმი და ნაციონალიზმი ჰგონიათ.

საქართველოში ამდენ ხანს რუსული დაწესებულებანი იყო. დღეს ვფიქრობთ ამ დაწესებულებათა გახალხოსნებას, გაეროვნებას, რომ იმ ხალხმა, ვისთვისაც არის საჭირო ეს დაწესებულებანი, სამშობლო ენაზე შესძლოს თავის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საზოგადოებრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ასეთი გარდაქმნა, მათი ნაციონალიზაცია არის ერთად-ერთი დემოკრატიული და მიუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება ჩვენი რესპუბლიკის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ბრძოლა კი, რასაც აწარმოებენ ჩვენი ავის მდომნი, პირიქით არის პოლიტიკური მონობის გახანგრძლივება რესპუბლიკაში, დიდპყრობელური შოვინიზმის ბატონობა დემოკრატიაში, გაუგონართ ძალმომრეობა თავისუფლებაში.

ჩვენ მათ ვერ გავუგონებთ და დაწესებულებათა დემოკრატიზაციაზე და ნაციონალიზაციაზე ხელს ვერ ავიღებთ. მხოლოდ ნაციონალიზაციას ვატარებთ ცხოვრებაში ფრთხილად და თანდათანობით. არავითარ აჩქარებას აქ ადგილი არა აქვს და ჰორიკანობენ, როცა ამბობენ, რომ დაწესებულებათა ნაციონალიზაციას ერთბაშად და ნაუცბათევად ახორციელებენ, რაც ტკივილებს იწვევს მართვა-გამგეობის მექანიზმშიო. ამის მსგავსი არაფერია.

შტატები კი მცირდება ყველგან. ეს საყოველთაო მოვლენაა. ეს შემცირება ეხება ყველას ეროვნების განურჩევლად. ტეხნიკური პერსონალი თითქმის ყველგან რჩება ისე როგორც იყო.

ჩვენი ენის არ მცოდნე მოხელეებს ქართული ენის შესასწავლად ეძლევათ ექვსი თვე, რაც უთუოდ საკმარისად უნდა ჩაითვალოს.

არა ქართველ ჩინოვნიკებს არავინ არ სდევნის. ისინი ერთნაირი უფლებით და მოვალეობით არიან აღჭურვილნი მთელი ჩვენი რესპუბლიკის სივრცეზე. თუ ვინმე ავრცელებს ხმას საქართველოში რუს, არა ქართველ ჩინოვნიკებს ავიწროვებენ და სდევნიან, ამის შვრება ერთად-ერთი მიზნით — პროვოკაცია დასთესოს, რომ არევ-დარევა და განხეთქილება შეიტანოს ჩვენს სახელმწიფოს ცხოვრებაში.

თუ განსაკუთრებით სდევნიან და ავიწროებენ სადმე ჩინოვნიკებს, როგორც არა-რუსთ — თუ რუსთ ეს ისევ ბოლშევიკურ-„კომუნისტურ“ რუსეთში. იქ ჩინოვნიკების მდგომარეობა მართლა ტრაგიკულია. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, როცა ჩინოვნიკების მდგომარეობას ითვალისწინებს საქართველოში.

---

## პროფ. ცუგმაიერთან

გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს უფროსმა პროფ. ე. ცუგმაიერმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი გადმოსცა:

ბაქოს ფრონტი.

გერმანელი ჯარი, როგორც წინეთაც არა ერთხელ მითქვამს, ბაქოს ფრონტზე არ იმყოფება. ოსმალოს ჯარი იმდენათ ძლიერია ამ ფრონტზე, რომ გერმანიის სამხედრო ძალის დახმარებას ბაქოს ასაღებად, მისთვის საჭიროებას სრულიად არ წარმოადგენს. ოსმალეთის ჯარს ამ ჟამად უკავია შემდეგი დიდ მნიშვნელოვანი პუნქტები: სადგური ბალაჯარი, ბაილოვის გორა და ზიხი, ყველა ამ ადგილებზე უკვე სდგანან ბატარეები და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ბაქოს ტრაგედია ახლო მომავალში დასრულდება. ინგლისელების ბაქოში ყოფნას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ რამდენიმე ხნით დაგვიანდება ბაქოს აღება.

საფრანგეთის ფრონტი.

დასავლეთ ფრონტზე უდიდესი ბრძოლაა ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები დიდ ფრონტზე აწარმოებენ შეტევას. ამ ჟამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის მიზნით, მაგრამ ყველა შეტევები არა სასარგებლოდ დამთავრდა მტრისთვის.

გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი. ნაწილობრივი შეტევებია ვესლაზე.

სტამბული, 26 აგვ. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ორივე მხრით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ზღვის ნაპირის ჩვენს პოზიციებს მტერი უშენს. ჩვენი არტილერია უპასუხებს.

აღმოსავლეთის ფრონტი.

ხაჯი ალასთან ჩვენ გავდევნეთ მტერი. სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერია. ჩვენმა ცეცხლმა ხელი შეუშალა მტრის მფრინავ რაზმების მოქმედებას.

27 აგვისტო

მიღებულია თბილისის რადიო სადგურით.

ვენა, 25 აგვ. გუშინ აქაურ ოსმალთა საელჩოში შესდგა ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების საბუთების გაცვლა ოსმალეთის, უკრაინის და ფინლიანდიის შუა.

ბერნი, 25 აგვ. ინგლისის გემი „ატლანტონი“ ჩაძირულია. მისი ჩაძირვის დრო ნაჩვენები არ არის. გემი დატვირთული იყო ჯარის კაცთა ტანთსაცმელით.

ჟენევა, 25 აგვ. „ჟურნალი“ ოფიციალურად იტყობინება, რომ 20 აგვ. გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ნანსის.

მალმე, 25 აგვ. მიღებულია ცნობები, რომ 5 აგვისტოს პეტროგრადში დაატუსაღეს 17,000 კაცი, უმეტეს ნაწილად ოფიცრები და პეტროგრადის ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

სტოკგოლმი, 25 აგვ. მიღებულია ცნობები, რომ რუსეთის მეფის ერთი მკვლელთაგანი მუშა, ბელობოროდოვი დახვრეტილია და შემდეგ დაფლეთილია ბრბოს მიერ. ორი მკვლელი ციხეში სხედან.

## უცხოეთი.

სპარსეთი.

სპარსეთის მთავრობას დიდი ბრიტანეთის ელჩმა ოფიციალურად აუწყა, რომ ლონდონიდან მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, სპარსეთის დასავლეთის საზღვრები ინგლისელი ჯარებით იქნება დაკავებული და საერთოდ სპარსეთის სახელმწიფოს ინტერესებს ომის დასრულებამდე ინგლისის სამხედრო ძალა დაიცავს.

ჩინეთი.

პარიზში მყოფ ჩინეთის ელჩმა „პეტიტ ჟურნალი-“ს თანამშრომელთან ბაასის დროს დაადასტურა ციმბირში ჩინეთის სამხედრო გამოსვლა იაპონიასა და შეთანხმებათა სახელმწიფოებთან ერთად. პეკინისა და ტოკიოს გენერალური შტაბების მოქმედების საერთო გეგმას უკვე იმუშავებენო.

საფრანგეთი.

„ბერლ. ტაგებ.“ იუწყება:„ საფრანგეთის პალატის გარეშე საქმეთა მთავარმა კომისიამ მიიღო ბულონის რეზოლიუცია, რომლის წინადადებით საფრანგეთმა რუსეთში ენერგიულად უნდა იმოქმედოს.“

იტალია.

ვატიკანის წრეებში ხმებია, რომ იტალიის მთავრობას რომის პაპმა სთხოვა, თავი დაანებოს ვენას აეროპლანებით თავდასხმას. თავის მხრით ავსტრო-უნგრეთის მთავრობაც ვალდებულობას იკისრებს რომი აღარ შეაწუხოს.

ციმბირი.

ციმბირის დროებითი მთავრობას შეთანხმებათა სახელმწიფოებმა ახალი 100 მილიონიანი კრედიტი გაუხსნას. ჩეხო-სლოვაკებს განსაკუთრებული დახმარება მიეცემა.

უკრაინა.

მინისტრთა მცირე საბჭომ განიხილა კანონ-პროექტი კიევში „უკრაინულ სახელმწიფო თეატრის“ დაარსების შესახებ, რომელსაც ყოველ წლივ 327, 400 მან. სუბსიდია მიეცემა.

## ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

24 აგვისტო, 1918 წ.

წარედგინოს ეროვნულ საბჭოს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლა აღიარებულ იქნეს სახელმწიფო სკოლათ, რომლის ხარჯების დასაფარავად გადაიდეს სახელმწიფო ხაზინიდან ოცდა თერთმეტი ათასი მანეთი.

მოხსენება სახალხო განათლების მინისტრისა სატეხნიკო და პროფესიონალურ სკოლების შესახებ მოწონებულ იქმნეს.

მიეცეს სახალხო განათლების მინისტრს ათმილიონიან ფონდიდან ხუთი ათასი მანეთი თბილისის რკინის გზის სატეხნიკო სკოლის ხარჯების დასაფარავად.

განთავისუფლებულ იქნეს სასკოლო შენობებში ყველა სართულები, ოთახები და სარდაფები, რომლებიც საჭიროა სწავლის საქმისათვის

მიეცეს სახალხო განათლების მინისტრს ათმილიონიან ფონდიდან ცხრა ათას ექვსასი მან. თბილისის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებისათვის დასახმარებლად.

ჩოხატაურის უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლისათვის კ. ერისთავისაგან მამულის შეძენისათვის ფულის გაღება უარყოფილ იქნეს.

თამარა გრუზინსკის შეეცვალოს გრუზინსკის გვარი ბაგრატოვანად.

თხოვნა ყარსის ოლქის სასურსათო გამგეობის თავმჯდომარისა, რომ დაუბრუნდეს კოოპერატივებს და ადგილობრივ მცხოვრებთ მათ მიერ შეტანილი ფული—უარი ეთქვას.

ბესარიონ ჯაოშვილის თხოვნა დაუბრუნდეს მას 800 მან., რომელიც ასესხა ქართველთა კომისარიატს ოდესაში გადაეცეს სამხედრო მინისტრს განსახილველად იმ პირობით, რომ თუ ამ თხოვნას კანონიერად იცნობს, მისცეს მას ნასესხი ფული.

თხოვნა სასახლის მოსამსახურეთა მიეცეს მათ მომარაგების კომიტეტიდან სხვა, და სხვა ნივთები ფულად—უარი ეთქვათ.

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში ქვეშევრდომობის კანონი.

გაეხსნას მთავრობის საქმეთა მართველობას სახელმწიფო ხაზინიდან თოთხმეტი ათას ორას ორმოცდა ათი (14.250 მან.) კრედიტი აფხაზეთის საქმეთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მეორე ამხანაგის ჯამაგირებისათვის ამ წლის პირველ აგვისტოდან 31 დეკემბრამდე.

გაეხსნას მთავრობის საქმეთა მართველობას ათ მილიონიან ფონდიდან ორმოცდა-ათიათას მან. (50.000) მანეთის კრედიტი ქართულ კლუბში უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელთა თვის გამართულ ვახშმის ხარჯების დასაფარავად და სხვა მოულოდნელ ხარჯებისათვის.

მიეცეს იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან საჭირო თანხა, რომელსაც იგი აღნიშნავს, მინსკის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგისა და სხვა მოხელეთა დასარიგებლად.

ა) ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წარმოდგენილი შუამდგომლობა გერმანიაში გასაზავნ კომისიის შემადგენლობისა და მოსაგლოდნელ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დამტკიცებულ იქმნეს და ბ) გადაიდო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან 47.000 მარკა გერმანიაში გასაგზავნ კომისიის ხარჯების დასაფარავად.

გადაიდოს შინაგან მინისტრის განკარგულებაში ათ მილიონიან ფონდიდან 1 მილ. მანეთი სახალხო გვარდიის მობილიზაციისათვის ანარქიის საბოლოოდ მოსასპობად განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში.

საგანგებო განყოფილება ყოფილი კავკასის ფრონტისა გაუქმდეს და ყველა მისი კრედიტები დაიხუროს.

მიეცეს უფლება სასურსათო საქმის მთავარ რწმუნებულს ასწიოს პურის საყიდი ფასი ას მანეთამდე.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

◯ სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო „ბელი კლიუჩიდან“ მე 6-ე პოლკის კომანდირ საგინაშვილისგან: „მე, ოფიცრებით შემორტყმული ვიყავ მტრისგან რაც უკვე ვაუწყე დივიზიის უფროს და ვთხოვე სწრაფად გამოეგზავნათ მაშველი ჯარი. ამ ქამად სამხედრო საქონლის საწყობს გარ შემორტყმია ურიცხვი შეიარაღებული ბრბო, რომელიც შესდგება ადგილობრივ და მეზობელ სოფლელებისაგან, რომელთაც ულტიმატუმი წარმოგვიდგინეს დარაჯთა მოხსნის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სროლით იმუქრებიან. რადგან ჩემ ცნობაზე ჯერ პასუხი არ მიმიღია და არც მაშველი ჯარი მოსულა, მე წინააღმდეგობის გაწევა არ ძალმიძს, ვინაიდან მთელი რაზმის შემადგენლობა 30 ოფიცრისა და 20 გაუწვრთნელ ჯარის კაცისაგან შესდგება, რომელთაც იარაღი არა აქვთ. მაცნობეს რომ საწყობებში უკვე დაწყებულა ქურდობა. გთხოვთ მიღებისათანავე მომაშველოთ მაშველი ჯარი“.

◯ ამ დღეებში მოხდება ლიკვიდაცია კავკ. სამთო-სამმართველოსი და დაწესდება სამთო სამმართველო ქართულ რესპუბლიკისა.

◯ შინაგან საქმეთა მინისტრმა თანახმად გზათა სამინისტროს შუამდგომლობისა წინადადება მისცა ტფ. გუბერნიის კომისარს დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს ყოველივე დახმარება გზათა სამინისტროს რწმუნებულთ.

◯ საგარეო საქმეთა მინისტრმა მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა სამინისტროს შტატის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა 700,200 მან.

◯ ცხინვალის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს გზათა მინისტრს შესაფერი განკარგულება მოახდინოს, რათა ფოსტის მიმოსვლა იქნეს აღდგენილი ყოველ-დღიურად გორსა და ცხინვალ შუა.

◯ ფინანსთა სამინისტროს საბჭომ გუშინ დაადგინა გააუქმოს თბილისის და ქუთაისის სახაზინო პალატა დი ფინანსთა სამინისტროში გახსნას გადასახადების განყოფილება.

◯ თფილისის ქალაქის თვითმართველობამ განიზრახა შემოიღოს ქალაქში ერთდროული გადასახადი ელექტრონის ენერგიაზე 2 კაპ. თითეულ სანთელზე.

### სახალხო განათლება.

◯ სასულიერო გიმნაზიის ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქ.) ლტოლვილები გაიყვანეს. ლტოლვილთა კომიტეტის გამოანგარიშებით ქირის გარდა გიმნაზიას ზარალი დაახლოვებით 20 ათას მანეთამდე მოსულია.

◯ ვაჟთა მეორე გიმნაზიიდან რუსული ნაწილი გადადის მეექვსე გიმნაზიის შენობაში. მის ნაცვლად ქართულ ყოფილ სათ.-აზნ. გიმნაზიის ნაწილი იქნება გადმოყვანილი. გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ბ. ლორთქიფანიძე.

◯ სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო მასწავლებელთ მამულაიშვილსა და ძილლერს დაარსონ თბილისში მოსამზადებელი კურსები ყველა საგნებისა ქართულ ენაზე.

◯ სახალხო განათლების სამინისტრომ უკვე დაამზადა მთელი უწყების ხარჯთ-აღრიცხვა და ამ დღეებში წარუდგენს მთავრობას დასამტკიცებლად.

### კრებები და საზოგადოებანი

◯ 30 აგვისტოს საღ. 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა სადელეგატო სხდომა, ქალაქის მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◯ დღეს, 28 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება. გასარჩევია მეტად საყურადღებო საკითხები. თხოვენ ხმოსნებს აუცილებლად დაესწრონ.

◯ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებასთან არსებული ტერმინოლოგიო სექცია მისი მუშაობით დაინტერესებულთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ სექციაში შემუშავებული ტერმინები გაზეთ „შრომაში“ დაიბეჭდება 28 აგვისტოდან.

◯ კვირას 25 აგვისტოს, მოხდა დამფუძნებელი კრება ქართველთა სამხ. კავშირთან დაარსებულ ტანთ-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა პოლკ. კ. კაკაბაძე, მდივნად პოდპ. პლ. ლეჟავა. კრებაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა საზოგადოების წესდება. საწევრო გადასახადი მიღებულ იქნა წლიურად 24 მანეთი, ერთდროულად—10 მ. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პოლკ. კ. კაკაბაძე, მის ამხანაგად მ. ნიკოლაძე და კ. ბერუაშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ვ. ბერიძე, ან. ქავთარაძისა და კ. ცქიტიშვილი.

### ადმინისტრაცია.

◯ მეცხოვნე ჯარის უფროსმა დააპატიმრა თბ. გუბერნიის რაზმის ჯარის კაცები დ. ჯაბაკი და ქიქიაშვილი შეიარაღებულ თავდასხმისთვის. ამიერ-კავკასიისს ცხენოსანთა რაზმის კორნეტი დიდებულიძე საყარაულოდან თავის ნებით წასვლისათვის. ბათომის პარტიზანთა რაზმის ჯარის კაცი კ. პატარაია—ქუჩაში სროლისათვის. თბილისის საქონლის საწყობის მუშა პეტრენკო და ცხენოსანთა მესამე პოლკის მხედარი ნ. იამაშევი—სახაზინო ქონების მოპარვისათვის.

◯ საგანგებო რაზმა შეიპყრო სამანუფაქტურო საქონლის სპეკულიაციისთვის: მამედ ბეგ ქიარიმოვი, რაბი იბრაგიმ ოღლი, ელიას ბუდაგოვი, ნასიბ ჯალიმანოვი, ელიას ანუკოვი, შამილა ასკაროვი. ყველა ეს პირნი დაპატიერებულ იქმნენ.

### ხოლერა.

◯ უკანასკნელ ორ დღეს ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 19 ხოლერიანი და 8 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 3. მორჩა და გამოეწერა 4 ხოლერიანი. გარდაიცვალა 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. 25 აგვისტოს სულ იყო 78 ხოლერიანი და 9 საეჭვო ავათმყოფი.

### ბაქოს ამბები.

◯ გერმანიის სამხედრო მისია იტყობინება ბაქოს ფრონტის მდგომარეობის შესახებ: რკინის გზა ბალაჯარამდის თათრების ხელშია, მატარებლები რეგულიარულად მიდიმოდიან სად. ალიათამდე, სად. ალიათსა და ბალაჯარის შუა მხოლოდ ღამით. ნავთის სამრეწველოები ცოტად დაზიანებულია და თათრების ხელშია. სამრეწველოების ზემოთ ბაქოს მფრინაეები დაფრინავენ ხშირად და მუშაობას ხელს უშლიან. საშიშოა რომ ამ მფრინავებმა სამრეწველოები არ დასწვან ყუმბარებით. თათრების ბატარეა დაბინავებულია ბაილოვზე და ნახევარ კუნძულ ზიხზე, საიდანაც ესვრიან ქალაქს და ნავთსადგურს. ჩასძირეს ინგლისის გემი.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ განჯიდან მიღებული ცნობებით, ოსმალთა ჯარისთვის ადერბეიჯანის რესპუბლიკაში რკინის გზის ვაგონები ძალიან ცოტაა და ამიტომ ნური-ფაშას ბრძანებით ადერბეიჯანის მთავრობამ მოახდინა განკარგულება არ მიიღონ კერძო ტვირთი, ყველა ვაგონები დაცალონ პირველ სადგურზევე და ცარიელი ვაგონები გაგზავნონ სარიყამიშში, საიდანაც მოდის ოსმალთა დამხმარე ჯარები. კერძო ცნობებით, ბაქოში დამარცხების დროს ოსმალები დამარცხდნენ სპარსეთშიაც.

◯ ტყვიბულის მუშები. ტყვიბულის მაღაროების მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე დაიწყო 20 აგვისტოდან, მაღაროების ადმინისტრაცია გაფრთხილებული იყო ერთი კვირით ადრე. მუშები თხოულობენ დღიური ხელფასის გადიდებას 1 ივლისიდან 100%.

ვინც ახდილ მაღაროებში მუშაობს: დიდებს-20 მან. (10 მ. მაგიერ) მოზრდილებს—16 მან. და „ზაბოიშჩიკებს“ 24 მან. ვინც მაღაროებში მუშაობს: დიდებს 24 მან. მოზრდილებს—18 მან. „ზაბოიშჩიკებს“—30 მან. 8 საათის სამუშაო დღეში.

◯ ქართულ სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ში გაიხსნა ბავშვების საგიმნასტო განყოფილება. მიიღება ორთავე სქესის ბავშვები 7 წლიდან 14 წლამდე. სწავლა სწარმოებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით 4 საათიდან. ფასი თვეში 3 მანეთი. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე. მისამართი: ალექსანდროვის და ფეიერვერკის ქუჩის კუთხე.

◯ რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა ინახულეს სომხეთის და ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლები და აუწერეს გაჭირებული მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან რუსის მოქალაქენი, როგორც საქართველოში, ისე მის გარშემო. სომხის წარმომადგენელი დაჰპირდა რომ მათ პროექტს შეიტანს სასწრაფოდ განსახილველად. ადერბეიჯანის წარმომადგენლებმა არავითარი პასუხი არ მისცა, ვიდრე თავის მთავრობისაგან არ მიიღებს პასუხს.

◯ შესდგა ახალი ამხანაგობა „ნუგეში“, რომელსაც მიზნათ აქვს პურის გაიაფებას ხელი შეუწყოს. ამ მიზნით ამხანაგობა ხსნის ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ფურნეებსა და თონეებს და გამომცხვარ პურს მიაწვდის ხელმისაწდომ ფასებში ხალხს. საქმეს სათავეში უდგანან ქართველი ინჟენრები, გამოცდილი ვაჭრები და ინტელიგენტები.

◯ 26 აგვისტოს ღამე ბათომის შესახვევში რამდენიმე შეიარაღებულმა კაცმა სასურსათო კომიტეტის ხაზინადარს გრიგოლ რატიშვილს წაართვეს 47 ათასი მანეთი.

◯ ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშებმა მუშაობა განაახლეს.

◯ დღეს მცხეთაში პირველად სწირავს ახლად დანიშნული მცხეთის ეპისკოპ. გიორგი.

◯ ერევნიდან იტყობინებიან, რომ ქალაქში აღშფოთებული არიან გავრცელებული ხმებით, თითქოს ოსმალეთს გადაუწყვეტია დროებით ქ. ერევნის დაპყრობა, რადგან მოსალოდნელია სამარ მოქმედების კავკასიის ფრონტის გახსნა. ამ ხმებით აღშფოთებული არიან არა მარტო სომხები, არამედ რუსებიც, რომლებიც დარჩენილან იქ და შუამდგომლობენ რუსულ ეროვნულ საბჭოს წინაშე, რათა მიეცეთ მათ საშუალება რუსეთში გახიზვნისა.

◯ მოცვის ჩაის მონოპოლია, რომელიც მთავრობამ აიღო ქუთაისის გუბერნიაში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რადგან კერძო ვაჭრები ახერხებენ ნებართვის აღებას სყიდვისა და გაყიდვის-შესახებ. მთავრობის მიერ დანიშნულ 350 მ. მტკიცე ფასი ფუთზე ფაქტიურად არ არსებობს.

◯ შემოტანა ჩრდილო-კავკავიიდან სიმინდისა და ხორბლის მამისონის უღელტეხილით ვერ უხერხდება ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, ვინაიდან ოსების ეროვნული საბჭო არ ასრულებს თავის პირობებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათი შეტევა მათთვის უნაყოფო შედეგით ბოლოვდება. ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად საკმარისია ყურადღება მიაქციოთ საფრანგეთის სამხედრო ცნობებს, რომელნიც გერმანულ ტყვეების სულ მცირე რიცხვს იხსენიებენ.

აღმოსავლეთის ფრონტი.

აღმოსავლეთის, ესე იგი რუსეთის ფრონტი თითქმის სრულიად მოხსნილად უნდა ჩავთვალოთ. ჩეხო-სლოვაკების მოძრაობამ სარგებლობა ვერ მოუტანა ინგლის-საფრანგეთს. მათ არამც თუ ვერ მოახერხეს რუსეთის ცხოვრებაში იმგვარი ცვლილება შეეტანათ, რომ ვნება მიეყენებინათ გერმანიის სამხედრო ძალებისათვის, პირიქით თვით მათ დასჭირდათ თხოვნით ინგლისისათვის მიემართათ, რათა უკანასკნელს დახმარება გაეწია მათვის რუსეთში.

## პრესის მიმოხილვა.

სტ. ვოლსკის წერილის გამო („კიევსკ. მისლის“ 13 აგვ. ნომერში) ჩვენ უკვე გამოვთქვით გაკვრით ჩვენი შეხედულება. ბ. სტ. ვოლსკი როცა ჩვენ შორის იყო და სარგებლობდა ჩვენი რესპუბლიკანური თავისუფლებით, სხვანაირად გალობდა. ახლა ჰანგი გამოუცვლია ძალზე და სწვავს მას, რასაც ეთაყვანებოდა...

ახლა გაზ. „ერთობა“ ეხება სტ. ვოლსკის ახალ პოზიციას და სხვათა შორის სწერს:

ჩვენ კარგად ვიცით, თუ სტ. ვოლსკის, როგორც ყოფილ ნახევრად ბალშევიკს, რა ღვაწლი მიუძღვის რუსეთის რევოლიუციის წინაშე. მან აქ, თბილისში, აშკარად აღიარა, რომ მან და მისმა „ნოვაია ჟიზნ“-ელმა ამხანაგებმა დათვური სამსახური გაუწიეს რევოლიუციას და თავისი მოღვაწეობით პრესაში გაუადვილეს ბოლშევიკებს თავიანთი ავანტიურის მოხდენა. ეს „ტაქტიკა გაკოტრებული“ ადამიანი ქვეყანაში ჰპოვებდა სულიერ საყუდელს და აქ ყოფნისას თითქმის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ჩვენი დემოკრატიის მიერ წარმოებულ ტაქტიკას იწონებდა.

ჩვენა გვგონია, ხსენებულ პირს უნდა ეგრძნო შექმნილი ტრაღედია ჩვენი ერისა, რომელიც თითქმის მთლიანად სოც.-დემოკრატიის გავლენის ქვეშ იმყოფება, უნდა ეგრძნო მისი მაჯის ცემა სიცოცხლისა და თავისუფალი ცხოვრებისადმი და აქედან შესაფერ დასკვნა გამოტანილს, გაეკეთებინა ინფორმაცია რუსეთის საზოგადოებისთვის შესახებ იმ ზომებისა, რომლებიც ჩვენმა პარტიამ ერის გადასარჩენად მიიღო. ის კი ისე აცნობს მდგომარეობას, თითქოს საქართველოს დემოკრატია ოდესმე ბოლშევიკურ-რეაქციონური რუსეთის მოსურნე ყოფილიყოს: „მასსის ბალშევიკური განწყობილების ერთ ერთ მთავარ წყაროდ, სხვათა შორის, ჩაითვლება რუსეთთან გაერთიანების სტიქიური სურვილი. მასის თვალში ბალშევიკური მთავრობა, ეს არის რუსეთის სიმბოლო, არა საბჭოთა რუსეთის, არამედ რუსეთის, როგორც სახელმწიფოებრივი მთლიან ერთეულის“.

იმას რომ თავი დავანებოთ, რომ ამ სიტყვებში მოსჩანს სტ. ვოლსკის აშკარა დიდმპყრობელური ნაციონალიზმის სახე, ჩვენ გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არ არის სიმართლე. ჩვენი ფართო, ჭეშმარიტი დემოკრატია ამას სრულიადაც არ იზიარებს. სჩანს, ავტორს იმისთვის არა სდომებია კალამი, რომ „სიმართლეს მსახურებდეს და აზრი წმინდა განამტკიცოს“...

—

ბევრი გარეწარი კალმოსანი და მათ შორის ბ. ლ. ყიფიანი, ხშირათ სწერენ, ვითომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე იდევნებოდენ არა ქართველები.

ამის შესახებ „ალიონი“ ამბობს:

ბ. ლ. ყიფიანი არასოდეს არ ყოფილა ჟურნალისტიკაში სიმართლის დიდი დამცველი, რომ ახლა მოგვეთხოვა მისთვის რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური გრძნობიერება და ზნეობრივი ყურმახვილობა ჩვენი ხალხის მძიმე ჭრილობებისადმი.

მაგრამ სულ უბრალო რიგიანობა მოითხოვს თავისი დიდი ბრალდება გადაგვარებულთა კალმოსნებმა და მათ შორის ბ. ლ. ყიფიანმაც ცოტათი მაინც დაასაბუთონ და სთქვან, სთქვან გულ-ახდილად და კატეგორიულად:

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა ყველა არა ქართველთ ებრძვის, თუ მხოლოდ იმ არა ქართველთ, რომელთაც მიზნად დაუსახავთ მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის გაუქმება და რესპუბლიკის დაღუპვა?

სთქვან პირდაპირ და დაუფარავად საქართველოს რესპუბლიკის სახელით ებრძვიან თუ არა ქართველ მოღალატეებს, ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს, ეროვნებით ქართველებს და ჩვენი სახელმწიფოსაგან განდგომილებს?

და თუ ეს ასეა, რა ზნეობრივი უფლება აქვთ თუნდ გადაგვარებულთა კალმოსნებს ურცხვად სწერონ და ავრცელონ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო არა ქართველებს ებრძვიანო.

არა ბატონებო, ჩვენ არა ქართველებს კი არ ვებრძვით ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენ ვებრძვით საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს, ვინც უნდა იყვენ ისინი.

როგორც ხედავთ რესპუბლიკის მთავრობა არ ინდობს არც რუსის კონტრევოლიუციონერ გენერლებს, რომლებიც შეთქმულობას აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ და არც ფილიპე მახარაძისთანა ვაჟ-ბატონებს, რომლებიც ყიდულობენ შორეულ და უცხო ტომის დამთვრალ და გახრწნილ ნაძირალებს და ამგვარი „სახელოვანი ლაშქრით“ ესხმიან თავზე საქართველოს თავისუფლებას და რესპუბლიკას.

—

ადგილობრივი ბალშევიკები როდი გვივიწყებენ. ორშაბათობით „გვაბედნიერებენ“ თავის ბიულეტენების გამოცემით.

ისინი სწერენ თავის უკანასკნელ „ბიულეტენში“:

ჯერ-ჯერობით საბჭოთა კომუნისტური ძალა—უფლება რუსეთში კიდევ ბატონობსო.

დიახ, კიდევ ბატონობს, მაგრამ ეს არის მოჩვენებითი ბატონობა. ტყვილა ფიქრობენ ბალშევიკები, ვითომ მათი „კომუნისტური ძალა-უფლება დიდხანს იარსებებდა და მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციასაც კი გამოიწვევდა, რომ თავს არ ესხმოდენ მას შინაური და გარეშე მტრები.

ბოლშევიკები თავის თავადაც დაეცემიან, თვით შინაური ვითარება და დეზორგანიზაცია მოუღებს ბოლოს მათ თავ-აშვებულ დიქტატურას. მათ მოჰკლავდა და ჰკლავს საკუთარი პოლიტიკური უუნარობა და სახელმწიფური უნიჭობა.

## ეროვნული საბჭო

**მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.**

გრიგოლ ვეშაპელი (სიტყვის დასასრული*). ეხლა დავსკვნათ ჩვენი კამათი. იმას კი არ გეუბნებით, რომ ქართველი გლეხები ამ აჯანყებაში არ მონაწილეობდნენ... გეუბნებით ქართულის ენით, შეძლებისამებრ, რომ შტაბი იყო შემდგარი ოსების მიერ. საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა წევრი ოსთა ნაციონალურ საბჭოსი, რომელსაც არ უცვნია არც საქართველოს მთავრობა და არც მისი დამოუკიდებლობა. რას ფიქრობს ამის შესახებ ჩვენი მთავრობა? თუ თქვენ მოინდომეთ ამის გადაფუჩეჩება სულ ახლო მომავალში მოგიხდებათ იმაზე მეტი ძალების გაყვანა ოსების წინააღმდეგ და სისხლის ღვრა ვიდრე ეხლა.

ქართველმა ხალხმა, რომელსაც სწამს საქართველოს მომავალი უნდა იცოდეს, თუ ვინ არის მისი მტერი და ვინ მოკეთე. გაიგონ ვინ არის, რომ ირგვლივ აჯანყების ცეცხლში გვახვევს. ხალხს ამის გაგება მეტად ჰსურს. ამას მოწმობს ის მითქმა-მოთქმა, ის გააფრთებული ლაპარაკი, რომელიც არის ხალხში გორის მოძრაობის შესახებ. ეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბ. გვარჯალაძემაც იცის.

თქვენ ერთხელ უკვე დაისაჯეთ თვით ოსების მიერ, როდესაც ცხინვალის აჯანყების შესახებ ბრძანეთ: ეს არის აგრარული მოძრაობაო. მერე თქვენ იცით, რა სარგებლობა მიეცით ქართველ ერს.

ეხლა საჩხერეს მოძრაობას, რომ აგრარულ მოძრაობას უძახით—დაფიქრდით, ცხინვალზე უარესი საქმე არ დაემართოს თქვენის წყალობით ქართველ ერს.

აი უკვე მესამე თვეა, რაც საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს ერთი მხრით საჩხერის და მეორე მხრივ ჯავის ხეობაში, იქ სადაც, როგორც მოგვითხრობს „ერთობა“ არსებობს შტაბი.

თქვენ უნდა მიიღოთ ზომები, რომ ის შტაბი, რომელიც არის მეთაური ოსებისა—თქვენ დაგმორჩილდეს, რომ მან დაუყონებლივ იცნოს საქართველოს მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკა. მან თვით უნდა მიიღოს ზომები, რომ აუკრძალოს ოსებს ალაგ-ალაგ გადასვლა. რაც შეეხება ზარალს—მე ვიცავ იმ აზრს, რომ საკანონმდებლო წინადადება არის საჭირო. უნდა მოხდეს დახმარება იმ ხალხისა, რომელიც დაზარალდა, როგორც მთავრობის ჯარის ისე აჯანყებულთა მოქმედებისა გამო. ამისათვის საჩხერის რაიონში ისეთივე ზომები უნდა მივიღოთ, როგორიც დუშეთის აჯანყების დროს. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ოსები, აანაზღაურონ ის ზარალი, რაც მათ საჩხერის მცხოვრებთ მიაყენეს!

ამასთან უნდა მოეთხოვოს ოსთა ეროვნულ საბჭოს უკანასკნელად, სცნობს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს სუვერენიტეტს, თუ იგი შედის კვლავ თერგის მთავრობის კომპეტენციაში, რომელიც რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ნაწილია.

შეიძლება ჩვენმა მთავრობამ იკადროს უკანასკნელ ზომების მიღება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოარკვიოს სცნობენ თუ არა ოსები ჩვენ მთავრობას!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის წარმომადგენელს.

შინაგან საქმ. მინისტრი ნ ო ე რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. მოქალაქენო! ბატონი ვეშაპელი მეტისმეტად გაკვირვებულია ერთი გარემოებით, რომ ჩვენ მივმართეთ გუბერნიის კომისარს და მას მოვთხოვეთ საბუთები. ამ გაკვირვებიდან დასკვნა ასეთია, როდესაც ვეშაპელი და მისი ამხანაგები იქნებიან მინისტრებად, თუ მათ ეს ეღირსათ—აქ შემოტანილ ყოველ შეკითხვაზე პასუხს გასცემენ ცნობების შეუკრებლად. (გ. ვეშაპელი. ჩვენ გვეცოდინება რაც ხდება.)

მაგრამ განცვიფრება მარტო ამაში როდია. ბატონი ვეშაპელი განცვიფრებულა მეორე გარემოებითაც, ჩვენ გუბერნიის კომისარს გადავეცით მხოლოდ მშრალი შეკითხვა. ბატონი ვეშაპელი და მათი ამხანაგები ალბად უკარნახებენ იმ პასუხსაც, რომელიც გუბერნიის კომისარმა უნდა გამოუგზავნოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა წევრი ეროვნულ საბჭოსი დაგვეთანხმება, რომ სავსებით დამაკმაყოფილებელია და მისაღები ის, რომ ჩვენ ვეკითხებით ჩვენს ხელქვეითს, თუ რანაირია მდგომარეობა ადგილობრივ და იმედი გვაქვს, რომ პასუხს ჩვენი ხელქვეითი მოგვცემს. (ხმა მარჯვნიდან: გამოცდილები არიან.) დიახ! გამოუცდელ ადმინისტრატორებს ჩვენ არ დავნიშნავთ.

მაგრამ შეიძლება განცვიფრება კიდევ ერთი რამით იყოს გამოწვეული.

ხშირად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ყველაფერს ვასრულებთ პარტიულის თვალთსაზრისით, ხშირად უსაყვედურებენ ჩვენს სხვა და სხვა თანამდებობის პირებს, რომ მათი მოღვაწეობა პარტიული მოღვაწეობაა. ბატონი ვეშაპელი იფიქრებდა ჩვენს შესახებ, რომ ალბად მოლაპარაკების დროს რაიმეს გადასცემდნენო. მე ვარწმუნებ ბატონ ვეშაპელს, რომ ის პირი, რომლის საშუალებითაც გადავეცით შეკითხვა არ გახლავთ ჩვენი პარტიის წევრი და ჩვენ მის მეოხებით ვერაფერს გადავცემდით. (ხმა მარჯვნიდან: ცოტანი გვყვანან ასეთნი) ჩვენ ბევრი გვყვანან ისეთი თანამდებობის პირნი, რომლებიც პარტიულ საქმეებს არ ურევენ ადმინისტრატიულ საქმეებში.

რანაირი პასუხი მოგვცა კომისარმა?

ის ამბობდა: თავდაპირველად ეს იყო მოძრაობა ადგილობრივ გლეხებისა შემდეგ მონაწილეობა მიიღეს ოსებმაც.

რამდენადაც ჩვენი რაზმი უახლოვდებოდა ოსების სოფლებს, ისინი იმდენად მეტ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენს წინააღმდეგ აჯანყებაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სხვანაირად არ შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. ამასთან აქ გასაკვირველი არაფერია, რადგან მოძრაობა იყო, არა მარტო ოსებში, არამედ მთელი მხარე იყო აჯანყებული.

მე მაინტერესებს ერთი გარემოება. დღემდე როცა ჩამოვარდებოდა რაიმე საკითხი ამ მოძრაობის შესახებ ყოველთვის ყველა წევრი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა ბალშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ: დღეს კი აქ ლაპარაკობდნენ საწყალ ბალშევიკებზე! ამ საწყალ ბალშევიკებზე ლაპარაკი აქ დაიწყეს მას შემდეგ, რაც ზოგიერთა წევრი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა მონაწილეობას იღებდნენ ლეჩხუმისა და თიანეთის მაზრის აჯანყებაში (ტაში).

აქ ერთ გარემოებას ხშირად გაუსვეს ხაზი.

რა უფლების ძალით გამოცხადდა ოსების ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი კაპიტან იშხნელთან? მე ამის საპასუხოდ მოვიგონებ ერთ ისტორიულ ამბავს. ჩვენ გვაქვს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე ეხლა აქა ბრძანდება მათ მემარჯვენეთა რიგში.

როცა ძველი რეჟიმის დროს ჩვენი მოძმე აჭარლები აჯანყდნენ და მათ სასტიკი დასჯა მოელოდათ საქველმოქმედო საზოგადოებამ თავს იდვა მათი გამოსარჩლება თვით თავმჯდომარე საზოგადოებისა სთხოვდა რუსის მთავრობას: ნუ მიიღებთ აჭარლების წინააღმდეგ სასტიკ ზომებსო.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ როცა საქმე ასეა მონათესავე ჯგუფს აქვს უფლება მივიდეს და თვის წარმომადგენელი დაიფაროს. პეტიციის, მოხსენების წარდგენა აკრძალული არ არის. ეს არ არის აკრძალული არც რომელიმე კანონიერ კავშირისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლია იმოქმედოს ყოველგვარ კავშირს, თუ ის სისხლის სამართლის დანაშაულს არ ჩაიდენს, ან სახელმწიფოს ღალატის გზას არ დაადგება. ოსთა ეროვნული საბჭო კანონიერი ორგანიზაციაა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში (გ. ვეშაპელი. რომ არ გიცნოთ?) ამაზე ცალკე გვექნება ლაპარაკი. ყველა ორგანიზაციას აქვს უფლება ასე იმოქმედოს და მთავრობას წარუდგეს ამა თუ იმ კითხვის დროს.

მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი იყო ერთი გარემოება. აქ მოიყვანეს ერთი ამონაწერი: მეთაურნი ეუბნებოდნენ აჯანყებულებს ქუთაისი და სხვა ადგილები ჩვენი იქნებაო. გამოდის, თითქოს აქ გასაკვირველი რამ არის. ასე მოქმედებენ ყოველგვარი ბრბოები. ოსთა მეთაურნიც იმიტომ უთითებდნენ იმ აღთქმულ ქვეყნისკენ, ქუთაისისკენ, რომ აი სწორედ აქ არის მდიდარი ადგილები, რადგან მხოლოდ ამ მდიდარ ადგილების დაპირებით შეიძლებოდა მათი გადაბირება. ამ შემთხვევაში არაფერი განსხვავება არ არის: ოსი იქნება მეთაური, სომეხი თუ ქართველი ასე მოიქცევა.

აქ დიდხანს შეჩერდნენ ოსების ყრილობაზე. აქ მზადდებოდა აჯანყებაო. თქვენ აქ მოგახსენეს, რომ ამ ყრილობაზე იყო საბჭოს წევრი წერეთელი. მაგრამ ამ ჟამად, მეორე მხრივ, იქ იმყოფება ერთ-ერთი მეთაური ბოლშევიკებისა ფილიპე მახარაძე და თუ მართლა ოსი გლეხი დამნაშავეა იმაში, რომ ის აჰყვა ბოლშევიკების იმ მეთაურს, რომელმაც სხვა და სხვა კუთხეებში სხვა და სხვა ელემენტების აყოლიება შესძლო.

ჩვენ ხშირად გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თქვენი შეკითხვა მართლაც და აუარესებს საქართველოს მდგომარეობას. (ად. ახმეტელი. შეკითხვა?) დიახ! თქვენ ამაში უნდა დათანხმდეთ. თუ დაინტერესებულნი ხართ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დამშვიდდეს საჭიროა ყველა ელემენტებთან შერიგება.

თქვენ არ წამოგიყენებიათ არც ერთი წინადადება, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს.

ჩვენ ვიცით, რომ ოსთა დემოკრატიის ერთი ნაწილი არის ბოლშევიკური ნაწილი, მაგრამ ოსთა დემოკრატიის შორის არის მეორე ნაწილიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ საჭიროა მჭიდროდ შეკავშირება საქართველოსთან. თქვენი შეკითხვა, იმის მაგიერ, რომ ხელს უწყობდეს ამ ნაწილების შეკავშირებას, მისი მიზანია შერყევა ჩვენი შინაური სიმტკიცისა. თქვენგან ხშირად გვესმის მთლიან საქართველოზე ლაპარაკი და თუ თქვენ საქმითაც დაინტერესებული ხართ უნდა ემსახურებოდეთ ყველა ნაწილების შემოკრებას. თქვენ კი ამის მაგიერ თქვენს ისარს მიმართავთ ერთი ერის წინააღმდეგ თუმცა იგი იმდენადვეა დამნაშავე, რამდენადაც დამნაშავეა ქართველი ერი რაჭა-ლეჩხუმის აჯანყებაში. თუ მართლა თქვენ დაინტერესხბულნი ხართ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში—შემოდით ისეთ შეკითხვებით, აღნიშნეთ ისეთი ზომები, რომელთაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვთ და არა ისეთი, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს სახელმწიფოს სიმტკიცეს.

## დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

26 აგვისტო

მოსკოვი, 25 აგვ. აღმოსავლეთის ფრონტი. ალაპაევის მიმართულება. ირბიტის ქარხნის ახლოს მტერმა შემოუტია ჩვენს ბინას, მაგრამ მალე მოგერებულ იქნა დიდი ზარალით. რეჟთან ბრძოლაა, რომლის დროს ჩვენი ნაწილები გმირულად იგერებენ მოწინააღმდეგის შეტევებს. სად. მონეტნაისთან ჩვენმა ნაწილებმა 6 ვერსით უკან დაიხიეს. ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მტერი გაფანტა და ბევრი ტყვეებიც წაართვა. მოწინააღმდეგმ დაიჭირა ბალკი. მისი ნაწილები მდ. კამის ნაპირებზე წინ მიიწევს. ჩვენმა ნაწილებმა სოფ. კრასნაია გორკადან მტერი გააგდეს. დანარჩენ ფრონტებიდან ცნობები არ არის.

ბერლინი, 26 აგვ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და გენერალ ბონის ლაშქარი. კრუაზელის დასავლეთით მტრის შეტევების გაძლიერებას ხელი შეუშალა ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა. ვიცე ფელდ-ფებელმა გობელმა დახვრიტა მტრის 4 ჯავშნოსანი, უნტერ-ოფიცერმა გენემ 3. ჯავშნოსანი. სენ ლეჟერთან მტერმა დაიწყო ძლიერი შეტევები ფრონტის გარღვე-

*) იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ №№ 25 და 26.

○ გერმანიის სამხედრო დელეგაცია წესიერ მიმოსვლას აწყობს გემებით შავზღვაზე ფოთსა და სევასტოპოლს შუა. ფოთიდან გემი გავა ოთხშაბათობით, სევასტოპოლში მივა პარასკეობით. სევასტოპოლიდან გამოვა კვირას და ფოთში მოვა სამშაბათს.

○ ამ დღეებში თფილისში ჩამოვა ახლად დანიშნული ოსმალეთის მთავრობის სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელი აბდულ-ქერიმი.

## მოწოდება.

საქართველომ დაიწყო თავის. სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მთავრობა ღირსეულად თავს გაართმევს ათას საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ უმთავრესი მაინც თვით ხალხის დახმარებაა, მისი ნდობა, მის მიერ მხარის დაჭერა.

ბევრ სხვათა შორის საქართველოს უმთავრესად საზრუნი აქვს მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ამ ორ ბურჯზე, რომელზედაც დაყრდნობილია კულტურულ ერის, სახელმწიფოს ცხოვრება.

ჩვენა გვაქვს უკვე ქართული უნივერსიტეტი, გვაქვს ქართული თეატრი, მათ შესახებ ზრუნავს მთავრობაც, მაგრამ ამ საქმეშიაც ხალხმა, ერმა თუ არ მიაწოდა თავის წვლილი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას, ორივეს საქმე დიდათ შეფერხდება.

ამ ჟამად განზრახულია, რომ ორივე საქმისათვის მოწყობილ იქმნას მომგებიანი ხ უ თ ი მ ი ლ ი ო ნ ი ს ლ ა ტ ა რ ი ა, რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება აღნიშნულ დაწესებულებათა აღორძინებას და სახელდობრ: ქართულ უნივერსიტეტს ნახევარი წმინდა მოგებისა ჩაერიცხება ხელ-უხლებელ თანხად, ნახევარიც გადადებულ იქნება ქართულ თეატრის ღირსეულ შენობის ასაგებად და 5%-ც წმინდა მოგებისა გადაიდება ქართველ მსახიობთა კავშირისათვის.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად საჭირო და ხელ-შესაწყობია. მხოლოდ საჭიროა, რომ მთელი ქართველობა გამოეხმაუროს ამ საქმეს, შეიძინოს ლატარიის ბილეთები და ამით შემოკრბეს განზრახული თანხა—ხუთი მილიონი.

ესეთი დიდი თანხის შემოკრება კი არც ისე გაძნელდება, უკეთუ როგორც კერძო პიროვნებანი, ისე სხვა და სხვა დაწესებულებანი—ბანკები, კოოპერატივები და სხვ.—ენერგიულათ მოჰკიდებენ ხელს ბილეთების გასაღებას. თვით ლატარიის პირობები შემდეგია:

ლატარიის ძირითადი პირობანი:

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდახუთი მან. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 100.000 მან. | 100.000 მან. |
| 1 | „ | 50.000 „ | 50.000 „ |
| 1 | „ | 25.000 „ | 25.000 „ |
| 2 | „ | 10.000 „ | 20,000 „ |
| 3 | „ | 5.000 „ | 15.000 „ |
| 5 | „ | 1.000 „ | 5.000 „ |
| 50 | „ | 500 „ | 25.000 „ |
| 180 | „ | 250 „ | 45.000 „ |
| 2150 | „ | 100 „ | 215.000 „ |

სულ 2393 მომგებიანი ბილეთი 500.000 მან.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, ამიერ-კავკასის უმაღლესი მთავრობისა, თბილისის ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთში. ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში, თბილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

ამ გვარად მოუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული უნივერსიტეტი და თეატრი შეიძინონ ლატარიის ბილეთები და ამითი ხელი შეუწყონ ესეთ კულტურულ საქმეების აღორძინებას.

ლატარიის საბჭოს თავჯდომარე—დეკანი ქართულ უნივერსიტეტისა პროფესორი ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

საბჭოს წევრნი: ეროვნულ საბჭოს თავჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი და ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. ამიერ-კავკასიის ბანკის თავჯდომარე ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. სამეურნო ბანკის თავმჯდომარე ვ ა ს ი ლ ყ ი ფ ი ა ნ ი. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ნ ი კ. ე რ ი ს თ ა ვ ი ბელეტრისტი ა რ ი ს ტ ო ჭ უ მ ბ ა ძ ე. დამსახურებული მსახიობი ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ უ ნ ი ა. რეჟისორი ვ ა ლ ე რ ი ა ნ შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

ლატარიის გამგეობის თავჯდომარე განათლების მინისტრი გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი. ეროვნულ საბჭოს წევრი პ ე ტ რ ე ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე. მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე შ ა ლ ვ ა დ ა დ ი ა ნ ი. გამგე-დირექტორი ს ო ლ ო მ ო ნ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. ბილეთების შეძენა შეიძლება: ქ. თბილისს ბანკებში, კავშირებში და კლუბებში პ რ ო ვ ი ნ ც ი ა შ ი ყველგან საკრედიტო დაწესებულებებში და კოოპერატივებში.

მისამართი: ქ. თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 34. ლ ა ტ ა რ ი ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა ს.

## ქართული თეატრი.

(კ. ქასელის წერილის გამო „ერთობა“ №179)

„ქართული თეატრი“!

სწერ ამ სიტყვას და თან რაღაც იდუმალი ხმა ირონიულად ჩაგძახის: „იგი ხომ არ არსებობს! შავ დღეზე დაბადებული ქართული თეატრი ქართველმა მსახიობებმა დღემდის რის ვაივაგლახით მოაჩანჩალეს, დღეს-კი? არავითარი იმედი მომავალისა. ჩვენს უმაღლეს ორგანოებს მეტად ძნელ პირობებში მოუხდათ სახელმწიფოს შენება, და კაცს ეგონება ხელოვნებისათვის აღარ სცალიათო, მაგრამ მათ მიაქციეს ყურადღება ამ დარგსაც. დაარსდა ხელოვნების კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გეგმა მომავალი მოქმედებისა. ამ კომისიას შეუმუშავებია პროექტი, რომ შესდგეს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი ხელოვნების გამგებლობა. ვიმედოვნებთ ეროვნული საბჭო ხელოვნების კომისიის მუშაობას ყურადღებას მიაქცევს და ხელს შეუწყობს ხელოვნების აღორძინებას.

ქვეყანა ანარქიამ მოიცვა, მისი გავლენით ხალხმა მრავალი უარყოფითი ინსტინქტები და ჩვეულებანი შეითვისა; საჭიროა მისი განსპეკტაკება, მისი სულის გაფაქიზება, კეთილშობილური გრძნობების გაღვიძება. ეს-კი მხოლოდ ხელოვნებით შეიძლება. მწერლობა და მხატვრობა ამ ჟამად საშინელ ტრაღედიას განიცდის. სანამ ცხოვრება არ დამშვიდდება და სახელმწიფოებრივი წესწყობილება ერთ გარკვეულ ფორმაში არ ჩამოყალიბდება, ჭეშმარიტ მხატვარს, მწერალს არ შეუძლია რისამე შექმნა. დარჩა თეატრი, რომელიც, როგორც მწერლობა და მხატვრობა არ მოითხოვს ერთგვარ ინდივიდუალურ შემოქმედების პროცესს. არ შევეხებით იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ ხელოვნება ერის ძლიერების, მისი სულის გამომხატველია. ვიტყვით მხოლოდ, რომ დემოკრატიას, ხალხს უფრო სჭირდება მხატვრული წარმოდგენები, ვიდრე კაპიტალისტურ კლასებს და არისტოკრატიას. ჩეხოვის პროფესორისა არ იყოს, იგი დრამატიულ ნაწარმოებს, თავის კაბინეტში, ბუხრის წინ მჯდომარე წაიკითხავს და ამით დაკმაყოფილდება. დემოკრატია-კი ამ სიამოვნებას მოკლებულია, მას არ შეუძლიან შექმნას ეს კომფორტი. დღიურ მუშაობისშ ემდეგ მასა სჭირია სულიერი დასვენება, დამშვიდება, გონების საზრდო. სად უნდა ჰპოვოს ეს საზრდო თუ არა თეატრში? თეატრში-კი, თავისუფალ საქართველოში, თავისუფალ დემოკრატიას ჩვენ ვერ მივაწოდებთ იმ დამახინჯებულ სულიერ საზრდოს, რითაც აქამდის ვკვებავდით. ეხლა საჭიროა ჭეშმარიტი ხელოვნება, შინაარსიანი, მხატვრული წარმოდგენები და ხელოვანი არტისტები. რა იყო მიზეზი დღემდის თეატრალურ ხელოვნების დამახინჯებისა? უსახსრობა! არ იყო საქმის პატრონი, არ იყო ფული, არტისტები მშიერ-მწყურვალნი, ღარიბი რეპერტუარი. პიესების დადგმა—გაცვეთილი და შეუფერებელი. თავისუფალ საქართველოში, თავისუფალი დემოკრატია-კი სულ სხვას მოითხოვს და ჩვენ მოვალენი ვართ მას მივაწოდოთ შესაფერი და საჭირო ხელოვნური წარმოდგენები. ვინ უნდა გაუძღვეს ამ ეროვნულ საქმეს?

არის ოთხი გზა: კერძო ანტრეპრენიორი, მსახიობთა კავში, დრამატიული საზოგადოება და მთავრობა. კერძო ანტრეპრენიორზე ფიქრიც-კი მეტია. მიზეზი ყველასათვის ცხადია და მის განმარტებას არ შეუდგებით. მსახიობთა პროფესიონალური კავშირი, მართალია საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ მაინც პროფესიონალურ ინტერესებს დაიცავს, და შეიძლება ხელოვნება დაიჩაგროს. ეს-კი შეუწყნარებელია. დრამატიული საზოგადოება თითქმის ნახევარი საუკუნეა არსებობს და მაინც და მაინც თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებია; აი, ეხლაც სეზონი მოახლოვდა და იგი ყურსაც არ იბერტყავს, საქმე-კი გვიანდება. სხვები უკვე რეპეტიციებსაც შეუდგნენ მომავალი სეზონისათვის,—ჩვენ-კი ჯერ დასიც არა გვყავს და არ ვიცით, გვექნება წელს სეზონი თუ არა?

დარჩა მეოთხე გზა—მთავრობა და სწორედ მთავრობამ უნდა იკისროს ეს სახელმწიფოებრივი საქმე. საჭიროა ხელმძღვანელობა, საქმის მოწყობა, რომ ეხლავე შესდგეს დასი და დაიწყონ მზადება. რა თქმა უნდა, ამისათვის თანხაა საჭირო და ეს თანხაც მთავრობამ უნდა იკისროს, რადგან საჭიროა ხელოვნური წარმოდგენები და თეატრში ფასების გაიაფება, რომ დემოკრატიას საშუალება ჰქონდეს წარმოდგენების ნახვისა. ეს-კი დიდ ხარჯს მოითხოვს. კერძო ანტრეპრენიორი ამას არ იკისრებს, კავშირსა და დრამატიულ საზოგადოებას ამისათვის საკმაო ფული არა აქვს, მაშასადამე თუ საქმეს თითონ მთავრობა არ გაუძღვა, ჩვენი თეატრი ისევ ძველ პირობებში დარჩება და დემოკრატიაც მოკლებული იქნება ხელოვნურ წარმოდგენებს.

თეატრის განახლებას, მის უზრუნველყოფას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები, რესპუბლიკის თავმოყვარეობა და დამსახურება იმ ქართველ არტისტებისა, რომელთაც ქვეყნის განთავისუფლებაში საკმაო ღვაწლი მიუძღვით.

ნ—ელი.

## რა ხდება ზუგდიდის მაზრაში.

ეგრეთ წოდებულმა „ბოლშევიკთა“ მოძრაობამ ზუგდიდის მაზრაში მიაღწია უმაღლეს ხარისხამდის.

მაზრის მცხოვრებნი გაიყვნენ ორ ბანაკად. ერთის მხრით სდგანან ქალაქ-დაბების მოვაჭრენი და მკვიდრნი და მეორეს მხრით სოფლის მცხოვრებნი. უკანასკნელნი დიდხანს იდგნენ განზე, მაგრამ შეიარაღებულმა „ბოლშევიკებმა“ ისინი ჩაითრიეს და დღეს მრავალი სოფელი მათ გავლენის ქვეშ იმყოფება. ორივე ბანაკი შეიარაღებულია და ებრძვის ერთმანეთს.

თითონ ზუგდიდი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ქალაქის განაპირას მცხოვრებნი ყოველ საღამოს სტოვებენ თავიანთ ოჯახს: ქალები და ბავშვები იხიზნებიან შუაგულ ქალაქში და ეფარებიან ქვის შენობებს, კაცები კი იღებენ თოფებს და რაზმდებიან ადგილ-ადგილ, რომ გზა შეუკრან მტრებს. დაღამდება თუ არა, ატყდება ქალაქს გარშემო სროლა ბანაკთა შორის და ეს გრძელდება მთელი ღამე. ხშირად, როცა ქალაქს მოაწვება დიდძალი ხალხი, სროლაში იღებს მონაწილეობას ჯარიც და ამ შუა ღამეში გაისმის ზარბაზნის გრიალი და ტყვიის-მფრქვეველთა რახ-რახი. ამდენი სროლისაგან ერთი კაციც არ მომკვდარა ერთი თვის განმავლობაში, თუ არ მივიღებთ სახეში აკაკი ბოკუჩავას სიკვდილს, რომელიც ვერაგულად თურმე არის მოკლული პირადის მტრობით.

რაც ზუგდიდში ხდება, იგივე ხდება სხვა სავაჭრო ადგილებში: ანაკლიას, ყულევს, ხობს, სამღებროს და იმ სოფლებში, რომელნიც მდებარეობენ სინაკის გზაზე ცაიშს, ხეთის, იმ განსხვავებით, რომ „ბოლშევიკებმა“ ერთ დროს ანაკლიაც აიღეს, ყულევიც, ხობიც, სამღებროც და თუ ყველგან არა რჩებიან დღეს ბატონად ეს ამიტომ, რომ ანაკლიიდამ და ყულევიდან მოსაზღვრე ჯარმა ისინი უკვე გააძევეს.

ამგვარ მდგომარეობაში მაზრის დამცველად ზუგდიდს არის გამოგზავნილი ოთხი როტა ტყვიის-მფრქვეველი კამანდით და ზარბაზნებით. მაგრამ მთელ მაზრას ერთი მუჭა ჯარი, ან კი როგორ გასწვდება. მარჯვნივ გაიწევს ჯარი, მეუმრავლესენი მარცხნივ ესხმიან თავზე მცხოვრებთ, მარცხნივ წავლენ, მარჯვნივ მოისმის ამათი თოფის გრიალი. მაზრას ეჭიდება უფრო ძლიერი ძალა. დიდი ნაპოლეონი ისე მოუთმენლად არ ელოდა გრუშის, როგორც ზუგდიდის ჯარის უფროსი კაპიტანი ლლონტი ელის და ელის მშველელ მხედრობას. ამ წერილის შედგენის დროს სენაკს ჩამოვიდა პოლკოვნიკი სრესელი თავისი ჯარით. მაგრამ ერთი წილი ამ ჯარისა გაიგზავნა სენაკის მაზრაში. მარტვილისაკენ, საცა მეუმრავლესენი მსგავსადვე ეწევიან ამბოხებას და ზუგდიდის საშველად ჯერ საკმაო ძალა არ არის გამოგზავნილი.

როცა ზუგდიდში გამოგზავნილმა ჯარმა იგრიალა ზარბაზნით და ტყვიის-მფრქვეველით აბასთუმანს, ნარაზენს, ჭაქვანჯს, კორცხელს, წალენჯიხას, რუხს, გალს, როცა ამათი მისვლით სოფლის მცხოვრებნი ბევრგან საგრძნობლად დაზარალდნენ, სოფელ-სოფელ გაისმა სინანულის ხმა და ამბოხებით დაღლილმა მცხოვრებმა ჩამოაგდეს ლაპარაკი ზავზე. აბასთუმან-ნარაზენიდამ მოვიდნენ გამოგზავნილი კაცები ზუგდიდს ქალაქის საბჭოსთან (ამათი მოთავე იყო მეუმცირესე თომა ხვიტია) და ქალაქმა იკისრა მოლაპარაკება ჯარის უფროსთან, მაგრამ როცა ქალაქის ხმოსნები მივიდნენ ჯარის უფროსთან, იმისგან ამგვარი პასუხი მიიღეს: „თქვენთან გუშინ გამოუგზავნიათ დელეგატები ზავზე მოსალაპარაკებლად. ზავი და მორჩილება დიდად სასურველია, მაგრამ როგორ უნდა ენდოს კაცი მათ გულწრფელობას, როცა გუშინ ზავის მთხოვნელნი, როგორც ამ დილას მოხსენება მოგვივიდა, წუხელი დასცემიან ხეთოს და დაურბევიათო“.

ამათ შორის ლაპარაკი ასე რომ გათავდა, ხვიტიამ გადაიტანა შუამდგომლობა ქუთაისს.

13 ივლისს ჩამოვიდა ქუთაისიდამ ზუგდიდს გუბერნიის კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი. ამ დღეს იმან იქონია მსჯელობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ქალაქის წარმომადგენლებთან და მეორე დღეს დიდს კრებაზე, რომელსაც დაესწრნენ სოფლის საზოგადოებათაგან სამ-სამი კაცი, შემუშავდა გეგმა, რომლის თანახმად უნდა ჩამოვარდნილიყო ზავი. არჩეულ იყვნენ კამისიაში: კოლია ბუკია, გვანჯი ჩიქვანი, ვლადიმერ ნორაკიძე, კლიმენტი პარკაია, რომა ჩუხუა, თომა ხვიტია, სვიმონ თოდორ-დავა და ბესა თოდუა. ამათ უნდა ენახათ მთელი მაზრის მცხოვრებთა წარმომადგენელნი და იმათგან უნდა მიეღოთ თანხმობა ზავზე, ერთი კვირის განმავლობაში. ესენი წავიდნენ ნარაზენს, საცა შეიკრიბა დიდ ძალი ხალხი. აქ მეუმრავლესეთა შტაბმა მიიღო წარდგენილი პირობები: განუცხადა ერთგულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მორჩილება მთავრობის სამართლიანს მოთხოვნილებას, თუ ძველს ცოდვებს აპატიებდნენ ხალხს და მომავალში მიანიჭებდნენ თავისუფლებას. თუ ყველა ამაზე მთავრობა დასთანხმდებოდა, ისინი ჩამოიხდიდენ იარაღს და ჩააბარებდენ მთავრობას, მაგრამ სანამ იარაღს ჩამოიხდიდენ უნდა გამოეცათ ამაზე შესაბამი მთავრობის დეკრეტი.

ხალხის მოთხოვნილება კამისიამ წარუდგინა ქუთაისის გუბერნიის კომისარს 21 და 22 ივლისს და კომისარმა, შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით, გამოსცა მოწოდება მაზრის მცხოვრებთადმი, რომელსაც დეკრეტის მაგიერობა უნდა გაეწია.

მთამბე.

(დასასრული იქნება).

## სურამის ქალთა საზ. „მანდილოსანი“

სურამის ქართველ ქალთა საზოგად. „მანდილოსნის“ გამგეობამ 1918 წ. 20 აპრილს თავს იდვა სოფლათ პურის ფქვილის და სხვა სანოვაგის მოგროვება ბრძოლის ველზე მეომართათვის გასაგზავნათ. მოგროვილ იქნა პურის და მჭადის ფქვილი, კვერცხი, ყველი, და სხვა შემდეგ სოფლებში: ბეკამი, ბაიანთხევი, გვერდისუბანი, იტრია, კაკალათხევი, ქემფერი, ბრილი, ცედანი, წაბლოვანა, ოძისი და ტეზერი.

სულ შეგროვდა

| | |
|---|---|
| პურის ფქვილი . . . | 20 ფ. 2 გ. |
| ჭადის ფქვილი . . . | 5 ფ. 18 გ. |
| კვერცხი . . . . . . . . | 359 ც. |
| ყველი . . . . . . . . | $11^1/_8$ გ. |
| ფულად . . . . . . . . | 43 მ. 65 კ. |
| ლობიო . . . . . . . . | 35 გ. |

აქედგან სააღდგომოთ გავგავნეთ ოზურგეთისაკენ ჯარის კაცებისთვის 7 ფუთი გამომცხვარი პური, ყველი, 278 კვერცხი, 67 პაჩკა პაპიროსი და სპიჩკა და 2 პასკა.

მეორეჯერ აწყურისაკენ გავგზავნეთ 500 ცალი თონის პური და თანახმად ჯარისკაცების თხოვნისა მჭადის, ყველის და კვერცხის მაგივრათ გავგზავნეთ მათთვის საჭირო ნივთები როგორც: სპიჩკა, პაპიროსი, ძაფი, ნემსი და სხ. ამისთვის გავყიდეთ მჭადის ფქვილი, 189 მანეთის და 28 კაპ., ლობიო 23 მან. 80 კ. ყველი და კვერცხი 72 მან. ამ ნაირად სოფლებში შეგროვილ ფულთან, შესდგა სულ 318 მან. 73 კ. ამ ფულიდან ვიყიდეთ ზემოთ აღნიშნული ნივთები. სულ დაიხარჯა 324 მან. 10 კ.

ომის გათავების გამო დარჩენილი ფქვილი 2 ფ. და 20 გირ. შევისყიდეთ „მანდილოსნის“ სასარგებლოთ 125 მანეთათ. ხარჯს გარდა დარჩა ფულად 119 მან. 63 კ. რომელიც ინახება „მანდილოსნის“ კასაში.

მადლობას ვწირავთ იმ მანდილოსნებს, რომლებიც ამ საქმეში დაგვეხმარნენ.

გამგეობა.

## სომხური გაზეთების აზრი ჰაიასტანის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციის გამო.

„მ შ ა კ ი“ სწერს, სხვათა შორის, შემდეგს: „დეკლარაცია გამოქვეყნებულია, და მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. არც ერთი მუხლი არ აკმაყოფილებს ჩვენს მოლოდინს. სულის და სიცოცხლის, იმედის და რწმენის მიმცემ სიტყვების, ხალხის ინტერესების და სახელმწიფოებ-

რივი ალმშენებლობის ფართფ პროექტის მაგიერ, ვხედავთ საცოდავ გამოცხადებას, რალაც საკანცელარიო მიწერ-მოწერას, ისე რომ თითქოს მთავრობას უნდა როგორმე თავიდან მოიშოროს მძიმე მოვალეობა... სრულებით არ არის მოხსენებული მიწის საკითხი. ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ სომხები ცხოვრობენ მარტო ქალაქებში და არა ჰყავთ გლეხობა, რომელიც მეურნობას აწარმოებს. ძალიან გვიკვირს, რომ მთავრობის თავჯდომარემ არც ერთი სიტყვა არა სთქვა ერობის შესახებ იმ დროს, როცა საქართველოში კარგათ, თუ ავათ ენერგიული და პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული ერობის შემოსაღებად. აგრეთვე არაფერი არ არის ნათქვამი „სახალხო განათლებაზედ“, ისე რომ ეს დეკლარაცია კაცს აფიქრებინებს თითქო სომეხთა სკოლები მშვენიერ ვითარებაში იყვნენ და არავითარი ზრუნვა არ სჭირდებოდეს. სომხის ხალხმა ვერ მოისმინა თავის ხელძღვანელებისაგან იმისთანა სიტყვები, რომელსაც ელოდა იგი. სომხეთის მთავრობამ გამოცდას ვერ გაუძლო და დიდის ხეიმით ჩაიჭრა, მაგრამ ამით მარტო ქაჯაზნუნი და მისი მთავრობა კი არ ჩაიჭრნენ გამოცდაში, ჩაიჭრა ბრწყინვალეთ აგრეთვე ის პარტია, რომელიც ამ ხანათ ბატონობს სომხებში და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი სრული გაკოტრება. ამ დეკლარაციის შესახებ სწერს:

„3-ს აგვისტოს რ. ქაჯაზნუნიმ მიმართა ჰაიასტანის საბჭოს მთავრობას დეკლარაციით. საერთოდ სხვა და სხვა მთავრობების დეკლარაციებში ჩვეულნი ვართ მრავალ ფეროვან და ფართო პროექტებს, „უმაღლესი პოლიტიკით“ ნაკარნახევს ხოლო ამ ხანად გვესმის სომხეთის მთავრობის ვიწროთ მოხაზული პროგრამა.

ჰაიასტანი ერთი პატარა და წყნარი სახელმწიფოებრივი ქოხია, რომლის შექმნის სიძნელეს და ჩვენი დაჭრილი სამშობლოს „უფორმო ქაოსიდან“ გამოყვანას გრძნობს ჰაისტანის მთავრობის თავჯდომარე. მთავრობას არ უნდა შეცდომებში ჩააგდოს ქვეყანა ფართო პერსპექტივებით და განუხორციელებელი დაპირებებითო—აცხადებს მთავრობის თავჯდომარე—არ უნდა იკისროს მოვალეობანი, რომლის შესრულებაც მის ძალებს აღემატება.

ისე შეუმჩნეველია მთავრობის დაპირებანი ჩვენი უსინათლო და სიბნელით მოცულ სამშობლოსთვის, ისე სადაა საკუთარ ძალების შეგნება და იმდენათ სასტიკია ჩვენი ცხოვრების პირობები.

მძიმე, ძალიან მძიმე არის ის პირობები, რომლებშიაც ჩვენს პირველ მთავრობას ბედმა არგუნა საქმიანობის დაწყება.

„ა შ ხ ა ტ ა ვ ო რ ი ც“ გამოსთქვამს თავის აზრს და ამბობს:

„დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა ზ ო მ ი ე რ ი ა და პრაქტიკული. შიგ არ არის დიდი დაპირებანი და ფართო პერსპექტივები. ის არ გვპირდება აგრეთვე სოციალისტური დიდი საკითხების კადაჭრას. ამ მხრით ის ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ, მართლაც რომ „კატასტროფულ“ პირობებს, რომლებშიც ჰაიასტანის მთავრობა დაიბადა და იძულებული გახდა მოქმედება დაეწყო და დეკლარაციისა, არ იყოს „სუყველაფერი უნდა ახლათ დაიწყოს“ და „უფორმო ქაოსიდან და ნანგრევებისაგან“ შეჰქმნას ცხოვრების და შრომის უნარის მქონე ორგანო—„მას არ შეეძლო ამისთანა პირობებში შემქნილს და სიზიფიური შრომით დატვირთულს უფრო ფართო პროგრამა გამოეცხადებინა.

თითონ მთავრობამ ძალიან კარგათ განმარტა თავისი დეკლარაცია, სადაც სთქვა: ამ დეკლარაციას „შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ე რ ქ ვ ა ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს უ ზ რ უ ნ ვ ე ლ მ ყ ო ფ ლ ო ბ ი ს დ ა თ ა ვ დ ე ბ ო ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი. ძალიან კარგათ გვესმის ის ტრაგიკული პირობები, რომლებშიაც იძულებულია იმუშაოს ჩვენმა პირველმა მთავრობამ. ვუსურვებთ მოეხერხებინოს ჰაიასტანის „უფორმო ქაოსიდან“ ნამდვილ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რესპუბლიკის შექმნა, რომელიც დამყარებული იქნება ერთა შორის ძმობის და თანასწორობის სრულ უფლებიანობაზე.

## ქუთაისის საქონლის ჭირის წინააღმდეგ.

სადგურის და შრატის მოკლე ისტორია.

ქუთაისის შრატის სადგური დაარსებულია 1918 წ.

სარდგური 1 მარტიდან შეუდგა შრატის დამზადებას.

შრატი მუშავდება აცრილ საქონლის—პერიოდული ღიპერიმმუნიზაციის შემდეგ—სისხლისგან. სადგური მოთავსებულია სალორიის ბარაკში (ქუთაისის ახლოს, 5 კილომეტრის მანძილზედ) საკუთარ და აგრეთვე ქალაქის შენობებში და შეადგენს 4 სრულიად განცალკევებულ განყოფილებას. დანიშნულება სადგურისა:

1) დამუშავება შრატისა და მისი უფასოთ დაგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთათვის;

2) ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი სხვა და სხვა საქონლის გადამდებ ავათმყოფობების;

3) კურსებით ბაქტერიოლოგიური მეცნიერებისა და შრატის დამუშავების ცოდნის გავრცელება ექიმთა და სტუდენტთა შორის. *)

საქართველოს რესპუბლიკას სჭირდება შრატი საქონლის ჭირთან საბრძოლველათ თვეში 1000 ლიტრამდე, რისთვისაც სიჭიროა მუდმივ ეყოლოს სადგურს არა ნაკლებ 300 ხარისა. ჯერ-ჯერობით სადგურს ჰყავს სამოცამდე ხარი:

დღემდე სადგურზე დამუშავებულია 250 ლიტრა შრატი, რითაც აცრილია საქონელი ზეინდრის და საქარის საზოგადოებისა (ქუთ. გუბ.).

ეს საქონელი დიდი ხნით და უმეტესი ნაწილი სამუდამოთ უზრუნველყოფილია ჭირისაგან. ღირებულება ამ საქონლისა არა ნაკლებ ერთი მილიონი მანეთისაა.

ამ აცრის შემდეგ არც ერთი არ მომკვდარა (ჩვეულებრივათ-კი აცრის შემდეგ იხოცება 4—5%).

სადგური ექვემდებარება მხოლოდ რესპუბლ. მთავარ საბეითლო მმართველობას თბილისში.

ასაცრელი შრატი პირველად გამოიგონა დორპატის (იურევის) საბეითლო ინსტიტუტის პროფესორმა ევგენი ზემმერმა. აცრა (კომბინაციური) და დამზადება სხვა და სხვა მეთოდით შრატისა შემოიღეს გამოჩენილ პროფესორმეცნიერებმა რობერტ კოხმა, კოლლემ, ტურნერმა, ნიკოლმა, ადილ-ბეიმ, ტეილერმა, ტოკიშიგამ და სხვ.

ქუთაისის გარდა, ჭირის წინააღმდეგ შრატის სადგურიც არის კაიროში (გერმანელების), სტამბოლში, ჩიტაში და ხუნჩუნში (ზურანაბადის—განჯის ახლოს—დიდი სადგური და სამეცნიერო ტაძარი სრულებით განადგურებულია სომხის ბრბოებისაგან; 900 ხარი გატაცებულია; გამგე მისი თანაშემწით—პატიოსანი და თავგადადებულნი მუშაკნი—მხეცურათ მოკლული).

სადგურის გამგე ექიმი-ბეით. მ. ფ ა რ ც ვ ა ნ ი ძ ე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### კერენსკის აზრი

„ფ. ცეიტ.“ ცნობით, კერენსკის განუცხადებია, რომ მისი აზრით ოთხთა შეთანხმებას საშუალება უნდა მიეღოთ ბოლშევიკების წინაალმდეგ, რადგან ისინი რუსეთის რევოლიუციის მტრები არიან. ბალშევიკები გლეხთა შორის იპოვიან დამხმარესო. კერენსკი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს შეთანხმებათა გავლენით რუსეთის საქმეებში ჩარევას. ეს ჩარევა უნდა იყოს წმინდა სამხედრო, გერმანიის წინაალმდეგ მიმართული, ისე კი რომ რუსეთის შინაურ პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიონ.

### პერმის მუშები.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ კიზელის ქარხანაში (პერმის გუბერნ.) მომხდარ მუშათა კრებას წითელ გვარდიელებმა ტყვიის მფრქვეველები დაუშინეს. მუშები გაიქცენ. დატყვევებულ ესერ ორატორს გერუნოვს 7 ტყვია ესროლეს და შემდეგ ხიშტებზე ააგეს. კიზელში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

### ტროცკის მოწოდება.

15 აგვისტოს სტოკჰოლმიდან რადიოთი იუწყებიან, რომ ტროცკიმ პეტროგრადში მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია, რომ თუ ჩეხო-სლოვაკების მოძრაობა გაფანტული არ იქნება, საბჭოთა მთავრობას ბოლო მოეღებაო. საბჭოთა მთავრობის კრიზისის გამო პეტროგრადში მღელვარებაა. მოსალოდნელია დიდი არეულობა. დატუსაღებულია რამდენიმე ასი აფიცერი, რომლებიც კრონშტადში გაგზავნეს.

### იაროსლავლის დანგრევა.

გაზ. „პრავდას“ კორესპონდენტი სწერს: ლამაზი, თეთრი იაროსლავლი ამიერიდან აღარ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ დაიღუპა ყველაფერი ცენტრის პატარა ნაგლეჯისა და სადგურის უკან მდებარე პაწია ადგილის გარდა.

*) ამ ჟამად ამ დარგში მუშაობენ სადგურსე მთავრობიდან გამოგზავნილი თბილისის და ქუთაისის გუბერნიდან ექიმები ლუკა ჩხენკელი და ლადო ბასილია,

## გამოსადეგი ცნობები

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თბილისიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში | „ სალამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში | „ სალამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

## განცხადებები


ექიმი დოქტორი მედიცინისა

**გ. ნ. აქსელოს**

ღებულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათაყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, სალამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები“ № 3. 6—2

დავკარგე თბილისის I კერძო ლომბარდის ბილეთი № 69242, 28 მან. 3—3

დამზღვევი საზოგადოება „როსია“ აცხადებს, რომ საწინდრიან ვექილობების სესხებზე და პოლისებზე: № 284,213 სპირიდონ ონისიმეს ძე ნადირაძის და № 284446 ელისაბედ ალექსის ასული ნადირაძის დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.

იგივე საზოგადოება აცხადებს, რომ კვიტანცია № 486520 და წინასწარი მოწმობები თავის დაზღვევისა №№ 122061, 122062, 122063, 122064, 122065, 122066, 122067, 122068, 122069 და 122070 დაკარგულია და გაუქმებულად ითვლებ. 2—2

დაიკარგა თბილისის კერძო ლომბარდის ბილეთი 73940, №700—მანეთისა. 3—2

ერთად-ერთი წარმომადგენელი ბორჯომის მინერალურ წყლებისა ი. ე. დოლიძე ქ. თბილისში ამით ვაცხადებ პატივცემულ მუშტართა საყურადღებოდ, რომ ნარდათ მყიდველებს ბორჯომის წყალს ვაწვდი ყუთობით, ყუთში 50 ბოთლია, 2 მან. ბოთლს. მთავარი საწყობი: ელისაბედის ქუჩა-174. განყოფილება ავლაბარში კახეთის ქუჩა 17. 3—2

პეტრე ივანეს ძე კალშევი აცხადებს, რომ დაჰკარგა თბილისის სახელმწიფო ბანკის ხელ წერილი ფულის შენახვისა № 3934. 3-1

ლევან მუსხელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

1918 წლის მაისის 24. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა სისრულეში მოსაყვანად 1917 წ. 20 აპრ. შედგენილი შინაური ანდერძი არსენ გიორგის ძე ფურცხვანიძის, რომელიც ცხოვრობდა სოფ. ქვიტირში, ქუთაისის მაზრა.
ქ. ქუთაისი 1918 წლის ივლისი.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის საქმ. რეესტრში, ქ. ქუთაისი 1 აგვისტო 1918 წ. აღნიშნულია, რომ დავით რაფაელისძე ხანანაშვილმა საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა შაფათა, ისხაკ და რაფაელ ისრაილის ძეებს ხანანაშვილებს. ამ ქონების ნასყიდობის სიგელი გაკეთებულია ქუთ. ნოტარიუსის მოსიძის მიერ 20 ივლისს 1918 წ. № 24.
ეს ადგილი არის ქ. ქუთაისში ვორონცოვის ქუჩაზე, ზომით 33 ოთხკ. საჟენი, ფასი 2000 მან. გადასახადები 80 მან. სალერბო ქაღალდზე ამოწერა 10 მან.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის საქმეთა რეესტრში ქ. ფოთში 1 აგვისტოს 1918 წ. აღნიშნულია, რომ ქრისტინე ბუხუას ასულმა ხორავამ საჭირო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა სალომე გრიგოლის ასულს მაჭავარიანს. ამ ქონების ნასყიდობის სიგელი გაკეთებულია ფოთის ნოტარიუსის ვესტვალსკის მიერ 9 ივლისს 1918 წ. № 57. ეს ადგილი მდებარეობს ქ. ფოთში, ზომით 363 ოთხკუთხი საჟენი, № 368.
ფასი 206 მან. გადასახადები 6 მან. 80 კაპ. სალერბო ქაღალდზე ამოწერა 1 მან.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის საქმეთა რეესტრში, ოზურგეთის მაზრაში, 8 აგვ. 1918 წ. აღნიშნულია, რომ დიმიტრი ივანეს ძე მურვანიძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა პეტრე გიორგისძე წულუკიძეს. ამ ქონების ნასყიდობის სიგელი გაკეთებულია 1918 წლის 30 ივლისს № 35. ეს ადგილი არის ქ. ოზურგეთში, გურიელის ქუჩაზე, ზომით 170 ოთხკ. საჟენი, ფასი 1195 მან. გადასახადები 47 მან. 80 კაპ. სალერბო ქაღალდზე ამოწერა 6 მან.

ქ. თბილისის მეორე მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული, ა. ოგანესოვი აცხადებს, რომ 1918 წ. 18 სექტემბერს დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა მოქალაქე ედუარდ რიჩარდის ძე დე-რომერის მოძრავ ქონებაზე (სახლის ნივთები.) რომელიც შეფასებულია 655 მან.
ვაჭრობა მოხდება ქ. თფილისში, მესამე უბანი, პეტრე დიდის ქუჩა, № 13.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არქივის საქმეთა რეესტრში, ოზურგეთის მაზრაში, 8 აგვისტოს, აღნიშნულია, რომ ანონ ანდრიას ძე ჩიკაშუამ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა პეტრე გიორგის ძე წულუკიძეს. ამ ქონების ნასყიდობის სიგელი გაკეთებულია ქუთაისის ნოტარიუსის ანჯაფარიძის მიერ 30 ივლისს 1918 წ. № 34.
ეს ადგილი არის ქ. ოზურგეთში, გურიელის ქუჩაზე, შეადგენს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 730 ოთხკ. საჟ. ფასი 5.815 მან. გადასახადები 232 მან. 60 კაპ. სალერბო ქაღალდზე ამოწერა 30 მან.

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე

**საბუხჰალტერო და საკომერციო კურსები**

(ორივე სქესისა)

კურსები სამთვიანია, სწავლა საგნებისა და წიგნების წარმოება ქართულ ენაზეა. მეცადინეობა დაიწყება 10 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება სალამოს 5—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 22. ბუხჰალტერის კურსები ნ. ვ. აბრამიანისა. (6—5)

**განცხადება**

თბილისის სამხედრო სასწავლებლის სალიკვიდაციო კომისია

ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სასწავლებლის ყველა საქმეები და საბუთები გადაეცა ქართულ უნტერ-ოფიცერთა სკოლის უფროსს, ფულები კი, რომლებიც უნდა მიეღოთ ყოფილ იუნკერებს და სკოლის მოსამსახურეებს შენახულია თბილისის ხაზინაში, სიდანაც შეიძლება ყოველ გვარ ცნობების მიღება.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

(25 წლის ნაშრომი)

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**

მ ე ო რ ე შევსებულ-შესწორებული გ ა მ ო ც ე მ ა, აწყობილია უშპონოდ (მჭიდროდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფ ა ს ი: ხ ე ლ ი ს მ ო მ წ ე რ თ ა თ ვ ი ს მშვენიერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაწერა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.
5-4


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი ჰ. დ. საყვარელიძე.